გაზეთი ზიერის, „ვერსიას" ერთი

# ვერსია

ფასი 40 თეთრი

№134 (890) 18 – 19 დეკემბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## SOS საფრთხე!

## რას ვჭამთ მარხვაში

### არის თუ არა ვირთხის გენით მიღებული სოიო მცენარეული საკვები



გვ. 5

აუტიზმი, ჩიყვი, უშვილობა, ნაყოფის მოწყვეტა, „ტვინის გამოშრობა“, ნაადრევი სიბერე, ალერგია, ჰომოსექსუალიზმი — მიზეზი გენმოდიფიცირებული სოიო!

## ვანოს ახალი პოლიტიკური ინტრიგა თუ მთავარი პროკურორის ჩავარდნილი სპეცოპერაცია?



წარმოუდგენელია, სპეცსამსახურის ისეთ გამოცდილ თანამშრომელს, როგორიც დღევანდელი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძეა და რომელსაც უამრავი საიდუმლო სპეცოპერაცია აქვს შესრულებული, ასეთი არაპროფესიონალიზმი გამოეჩინა. ვიდეოკადრებისა და უამრავი მოწმის შესახებ, ისიც ხომ საქმის კურსშია... თუ მაინც გარისკა და ვანო მართალია, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების ისეთივე უტიფრობასთან გვაქვს საქმე, ნაციონალების დროს რომ გვქონდა და მკაცრი ზომებია მისაღები!



გვ. 4

## მურმან დუმბაძე კახა კალაძესა და ირაკლი ღარიბაშვილს „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციაში ადანაშაულებს



„ბარამიძეს პარლამენტში პასუხი რატომ მოსთხოვეს? იმიტომ კი არა, რომ აფრასიძეები ჩახოცა, არამედ იმიტომ, რომ საფლავები წაბილწა... როგორ გგონიათ, ტრაპაიძესა და გოგელიას არ გაუხსენებენ საფლავებზე ქირქილს?..“

გვ. 3

## ვისთან თანამშრომლობდა, რატომ მოიცილეს ივანიშვილის ორბიტიდან გია ხუხაშვილი



ლაშა ნაცვლიშვილს იჭერენ?!



გვ. 2

## არცოდნა არცოდვაა თუ ცოდვა?!

რატომ ეკრძალება მართლმადიდებელ ქრისტიანს ხანუქას დღესასწაულზე სანთლის დანთება და რას ზეიმობენ ებრაელები

## გენერალი ბორის ივანოვი სააკაშვილს ურჩევს, სამართალდამცავებს ჩაბარდეს!

გვ. 7

რა მიზნით დაბრუნდა საქართველოში სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი



## გიგი უგულავა მთავარ პროკურატურაში დაიბარეს

18 დეკემბერს, 13 საათზე, თბილისის მერი გიგი უგულავა მთავარ პროკურატურაში უნდა გამოცხადდეს. როგორც უწყებაშია მითითებული, მას პროკურორი ლევან ჯალალონია საქართველოს მთავარ პროკურატურაში საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიზნით იბარებს. სავარუდოდ, საქმე ეხება ააიპ „ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდისა“ და ააიპ „თბილისის გავნითარების ფონდის“ თანამშრომლების მიერ დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების მართლსაწინააღმდეგო მითვისება-გაფლანგვის ფაქტებს, რაზეც ორი დღის წინ ძველი თბილისის გამგებელი ლაშა ფურცხვანიძე და მისი მოადგილე კობა ხარშილაძე დააკავეს. დაკითხულია მერიის სხვა მაღალჩინოსნებიც, თუმცა ისინი პროკურატურიდან ჩვენების მიცემის შემდეგ გამოუშვეს. ჯერჯერობით უცნობია, რა ფაქტები აქვს პროკურატურას და დამთავრდება თუ არა მისი დაკითხვა დაკავებით.

*„ვერსიანიუსი“*



## ირაკლი ღარიბაშვილმა ბაქოში სამუშაო ვიზიტი დაასრულა

ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი ბაქოში წარმატებით დასრულდა. საქართველოს დელეგაცია საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდა, სადაც ხელი მოეწერა რეზოლუციას შაჰ-დენიზის მეორე ფაზის დაფინანსების შესახებ. კონფერენცია აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა გახსნა. სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც შაჰ-დენიზის ნავთობსადენის მე-2 ფაზის პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოება, რათა მოხდეს თურქეთის მიმართულებით წლიურად, დამატებით 16 მლრდ კუბური მეტრი გაზის მიწოდება. დაგეგმილია პარალელური მილსადენის მშენებლობა — 387 კმ აზერბაიჯანის, ხოლო 55 კმ საქართველოს ტერიტორიაზე. ორი დამატებითი საკომპრესორო სადგურის, ახალი წნევის რეგულირებისა და გამზომი სადგურის ინსტალაცია საქართველოში.

შაჰ-დენიზის მე-2 ფაზის ფარგლებში საქართველოში 400-700 მლნ დოლარის ოდენობის ინვესტიციები ჩაიდება. მშენებლობის პიკის პერიოდში ქვეყანაში დაახლოებით 2 000, ხოლო ექსპლუატაციის პერიოდში, დაახლოებით, 130 ახალი მუდმივი სამუშაო ადგილი შეიქმნება. გარდა ამისა, საქართველო მილსადენის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, დამატებით ბუნებრივ აირს მიიღებს. არსებული შეთანხმების თანახმად, საქართველოს შეუძლია, ტრანზიტით გატარებული ბუნებრივი აირი 5% შეღავათიან ფასად შეისყიდოს, რაც გაზსადენის მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში წელიწადში დამატებით მილიარდ კუბურ მეტრ გაზზე მეტს შეადგენს. ამასთან, პარალელური მილსადენების მშენებლობისთვის საქართველოს პორტებისა და რკინიგზის გამოყენებით, დაახლოებით, 350 000 ტონა სამშენებლო ტვირთისა და მასალების გადაზიდვა განხორციელდება.

*„ვერსიანიუსი“*

# ვისთან თანამშრომლობდა, რატომ მოიცილეს ივანიშვილის ორბიტიდან გია ხუხაშვილი და რა ჩვენება მისცა დავით ჩხატარაშვილმა გამოძიებას



ეკა სეხნიაშვილი

**ჩხატარაშვილის სკანდალური საქმე მხოლოდ მისი დაკავებით არ დამთავრებულა. კულუარული ინფორმაციით, ახალი ხელისუფლების „კეზერაშვილად“ მონათლული გია ხუხაშვილი, შესაძლოა, ამავე საქმეს „შეეწიროს“. ყოველ შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ კულუარებში ამბობენ, რომ ინფორმაციები ხელისუფლების მაღალ ეშელონებამდე მივიდა და ხუხაშვილს, ნაციონალებთან ფარული გარიგების „ბრალდებით“, უკვე მიეკერა „მოღალატის“ იარლიყი.**

„ვერსიის“ კომპეტენტური წყაროები ამბობენ, რომ გია ხუხაშვილი ნაციონალებთან აქტიურ მისვლა-მოსვლაში დააფიქსირეს და ვისაც უფრთხოდა, სწორედ მათ ყურამდე მივიდა ინფორმაცია ბატონი გიასა და ნაციონალების ფარული თანამშრომლობისა და ურთიერთობის შესახებ. ამბობენ, რომ არა მხოლოდ ინფორმაცია... ბუნებრივია, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ წყაროები მიუთითებენ, რომ მათ შორის მეკავშირე, ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე და ნაციონალებში ეკონომიკური გუნდის ფავორიტად მიღებული კახა დამენია ყოფილა. ეს ის დამენიაა, რომელიც ახალი ხელისუფლების ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ხეთაგური-გვარამიასა და „ინტერრაოს“ გახმაურებულ საქმეზე დააკავა. მაშინ მის აუდიტორულ კომპანია „დამენია, გუტიძე, ჩანტლაძე სოლუშენის“ კონკრეტულ ბრალდებებს უყენებდნენ, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში საქმე კომპანია „თელასის“, „ხრამჰესისა“ და „ინტერრაოს“ თემას ეხებოდა, თუმცა ამ საქმეზე რამდენიმე პირი გამართლდა კიდეც. სავარაუდოდ, ამავე სეგმენტში მოღვაწე დამენია-ხუხაშვილის გადაკვეთაც ნავთობისა და გაზის საკითხებზე მოხდებოდა. ხუხაშვილი 2004-2010 წლებში კომპანია „სოკარის“ მარკეტინგის გენერალური კონტრაქტორი იყო, თუმცა როგორც ლაშა ამირეჯიბი იხსენებს, არც „სოკარიდან“ წამოსულა კარგი სახელით და იქაც ფინანსური მაქინაციების მთელი სქემა დაატრიალა. ასეა თუ არა ეს, ცალკე შესწავლის საკითხია, მაგრამ დღეს ამბობენ, რომ ივანიშვილს საკუთარი გუნდის წევრები თავიდანვე მუდმივად ჩასჩიჩინებდნენ, ხუხაშვილი ახლოს არ გაეკარებინა, რადგან რეალურად ის ნაციონალებზე მუშაობდაო. ამის დასტურად კი იგივე „სოკარის“ თემა მოჰქონდათ. სხვა თუ არაფერი, სააკაშვილისა და ოფიციალური ბაქოს კარგი ურთიერთობებიდან გამომდინარე, ერთი სატელეფონო ზარითაც შეიძლებოდა ხუხაშვილის სახლში გაშვება. მით უმეტეს, სააკაშვილის მმართველობის სტილი ხომ ასეთი იყო — მისთვის მიუღებელი ოპონენტები მაქსიმალურად დაეტოვებინა დონორების გარეშე. თუმცა, როგორც კულუარულად ყვებოდნენ, ხუხაშვილი აზერბაიჯანულ-ქართულ მხარეებთან შეთანხმებით, ჯერ კიდევ მიშას დროს საწვავის საკითხებს აგვარებდა, როცა მიშა ბაქოში ჩადიოდა, ფარულად ხუხაშვილსაც ჰქონია ვიზიტები. ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე კი, კარგად თუ გავიხსენებთ, პირველი დღიდან ივანიშვილის მთავრობასა და კალაძის სამინისტროს ურთიერთობა აზერბაიჯანულ ნავთობკომპანიასთან დაეძაბა. მაშინ, როგორც პრესა წერდა, ამ საქმეში ივანიშვილის მრჩევლისა და ექსპერტის გია ხუხაშვილის ხელიც ერია. არადა, თუ ივანიშვილის მრჩეველი იყო, ივანიშვილის მთავრობას „სოკართან“ პრობლემები, წესით, არ უნდა ჰქონოდა. ხუხაშვილის მონოლოგების შემდგომ, მაშინ კალაძემ საკუთარი მოადგილე, ქავთარაძე შეწირა ამ ამბავს. რეალურად და კულუარებში კი, როგორც ვარაუდობდნენ, სიტუაცია ხუხაშვილმა დაძაბა — ასეთია საქმეში ჩახედული წყაროს ინფორმაცია.

მოკლედ, ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლისთანავე, ხუხაშვილი მის სიახლოვეს გამოჩნდა. მანამდე კი, ერთ-ერთი ინფორმაციით, სწორედ კახა დამენიას საშუალებით, მერაბიშვილთან მოითხოვა შეხვედრა. სწორედ ამ შეხვედრაზე მისცემია მას კარტ-ბლანში, ბიძინასთან რაც შეიძლება ახლოს მოხვედრილიყო, საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია, იქიდან ვითარება ეკონტროლებინა და „ოცნების“ შტაბში შიდადაპირისპირება და ქაოსი შეეტანაო. ამავე პერიოდს უკავშირდება „ოცნების“ შიგნით დაპირისპირებები და ცნობილი სატელეფონო ჩანაწერები, შალვა რამიშვილის მისამართით გამოთქმული ეპითეტები და ა.შ. ეს სატელეფონო ჩანაწერები შემდგომ ნაციონალების კონტროლირებადი შსს-სთვის შესანიშნავი მასალა გახდა. მანამდე კი, ხელისუფლების შეცვლისთანავე, ზუსტად 2 ოქტომბერს, ხუხაშვილმა თავისთან „პიქსელში“ ყოფილი პროკურორის მოადგილე, ცნობილი საქმეების „მკერავი“ ჩხატარაშვილი გადაიყვანა და ლაშა ნაცვლიშვილს შეეკრა. მაშინ ხუხაშვილი და ნაცვლიშვილი ივანიშვილს შეპირდნენ, რომ ჩხატარაშვილი „ბობოლა ნაცებზე“ გაიყვანდა და სერიოზულ საქმეებს გაახსნევინებდა, სანაცვლოდ ჩხატარაშვილის ხელშეუხებლობა მოითხოვეს, რეალურად კი მათ გამოძიების სადავეები ჩაიდგეს ხელში. მოხდა ისე, რომ, ფაქტობრივად, ჩხატარაშვილი იჯდა და „პიქსელის“ შენობიდან პროკურატურის მნიშვნელოვან საქმეებს მართავდა. ერთ-ერთი ინფორმაციით, ჩხატარაშვილმა მიცემულ ჩვენებაში უკვე დაფქვა, როგორ პირდებოდნენ ნაცვლიშვილი და ხუხაშვილი ხელშეუხებლობას და როგორ სთხოვდა ხუხაშვილი, მიეწოდებინა მისთვის ინფორმაცია, რომელ ბიზნესს რა შემოსავალი ჰქონდა, სად იქნებოდა უმჯობესი წილში ჩაჯდომა... ახლა ნაცვლიშვილი სატელეფონო ზარებს არ პასუხობს, ხოლო ამ ინფორმაციას ხუხაშვილმა საჯაროდ უკვე უწოდა სისულელე და უარყო, თუმცა განაცხადა, რომ ჩხატარაშვილი მისთვის საინტერესო მასალა იყო, ის კი არ დააკონკრეტა, რა სტატუსით ხვდებოდა, სად მიჰქონდა და რაში იყენებდა ჩხატარაშვილისგან მიღებულ ინფორმაციას?! მით უმეტეს, ხუხაშვილი არც საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი იყო და არც ეკონომიკური პროფილის მინისტრი, ჩხატარაშვილის სქემები საქმეში გამოეყენებინა. მეტიც, ხუხაშვილმა ჩხატარაშვილის სინდისის წმენდა დაიწყო, რომ ის სააკაშვილის სისტემის მსხვერპლი იყო. მთავარ პროკურატურაში არსებობს სხვა საქმეებიც, ნაცვლიშვილის მონაწილეობით ბიზნესის „ახევის“ სქემებს რომ უკავშირდება. მასზე საჩივრები უწყებაში უკვე შესულია და, სავარაუდოდ, არც ხუხაშვილს აქვს საქმე სალხენად. როგორც ჩანს, სქემა მარტივი იყო – საინტერესო კომპანიების გაკოტრება და მისი კაპიკებად ხელში ჩაგდება. ეს სქემა შევარდნაძის დროს ჩინოვნიკებს კარგად ჰქონდათ აპრობირებული. „ვერსიის“ ინფორმაციით, პროკურატურაში შეტანილ საჩივრებშია მიმინოშვილის, „რუსმეტალის“ და კიდევ რამდენიმე სერიოზული ბიზნესმენის საქმეები. ივანიშვილმა ხუხაშვილი, უკვე რამდენიმე თვეა, ოფიციალურად ჩამოიშორა და ამბობენ, რომ ისევ „სოკართან“ აწარმოებს მოლაპარაკებას მომავალი თანამშრომლობის საკითხზე. თუმცა ხელისუფლებაში უკვე ალაპარაკდნენ ხუხაშვილის ფარულ შეხვედრებსა და გარიგებებზე. რა ფინანსურ სქემებს იყენებდა ლაშა ნაცვლიშვილი და რა ბიზნესინტერესი ჰქონდა, რა საქმეებს ლობირებდა და ბლოკავდა პროკურატურაში ხუხაშვილის ერთად? ახალმა მთავარმა პროკურორმა ჯერ კიდევ მისი და მისი კადრების გადაყენებით თქვა, რომ ლაშა ნაცვლიშვილს არ ენდობა. ეს, ალბათ, უკვე იყო სიგნალი, პირველ რიგში, ნაცვლიშვილისთვის, თუმცა ახლა, როცა დავით ჩხატარაშვილი დაკავებულია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

**ვერსიანიუსი**

## კრიზისების მართვის დროებითმა შტაბმა მუშაობა შეაჯამა



კრიზისების მართვის დროებითმა შტაბმა, რომელსაც შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე ხელმძღვანელობს, მუშაობა შეაჯამა. აჭარის მთავრობის სახლში გამართული შემაჯამებელი სხდომის შემდეგ ალექსანდრე ჭიკაიძემ განაცხადა, რომ ხელვაჩაურისა და ქობულეთის სოფლებში გზებზე 60-მდე ერთეული ტექნიკა მუშაობდა, ელექტროენერგია კი სოფლების უმრავლესობაში აღდგენილია.

**„ამ ეტაპისთვის, ხელვაჩაურის სოფლებში — მახინჯაურში, ახალშენში, ფერიაში, შარაბიძეებში, თხილნარში, ჭარნალსა და ორთუბანში დასრულებულია გზების გაწმენდითი სამუშაოები. ასევე, სამუშაოები დასრულებულია ქობულეთის რამდენიმე სოფელში. სოფლების უმეტეს ნაწილში ელექტრომომარაგება აღდგენილია“,** — აღნიშნა ალექსანდრე ჭიკაიძემ და განმარტა, რომ ენერგეტიკის სამინისტროს თანამშრომლები 25 დეკემბრამდე პრობლემის აღმოფხვრას შეეცდებიან.

*„ინტერპრესნიუსი“*

# მურმან დუმბაძე კახა კალაძესა და ირაკლი ღარიბაშვილს „ქართული ოცნების“ დისკრედიტაციაში ადანაშაულებს

გიორგი გვიდიანი

**საზოგადოებაში ისევ არ წყდება აჟიოტაჟი აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ავთანდილ ბერიძის გარშემო. გარდა იმისა, რომ ძვირადღირებული ავტომობილის შეძენის სურვილის გამო აკრიტიკებენ, ბერიძეს ისიც დაუწუნეს, რომ რამდენჯერმე საზოგადოებაში ისე გამოჩნდა, მის ნაცვლად ქოლგა სხვას მოჰქონდა და წვიმისგან იცავდა. მისი ქმედება საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, პარტიის გენერალურმა მდივანმა, კახა კალაძემაც დაგმო და განაცხადა, რომ ბერიძის საკითხი პარტიულ სხდომაზე განიხილებოდა. კალაძის განცხადება ირაკლი ღარიბაშვილთან კონსულტაციების შემდგომ გაკეთდა, ხოლო ე.წ. საქმის გარჩევაში ბოლოს ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატი მურმან დუმბაძე ჩაერია. მან ავთანდილ ბერიძეს მხარდაჭერა გამოუცხადა და აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩარევის უფლება ცენტრალურ ხელისუფლებას არ აქვს. „ვერსია“ მურმან დუმბაძეს დაუკავშირდა.**




**— ბატონო მურმან, ცენტრალურ ხელისუფლებას ავტონომიური რესპუბლიკის საქმეებში ჩარევის უფლება როდიდან არ აქვს?**

— ამ საკითხს ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ. არ მითქვამს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ავტონომიური რესპუბლიკის საქმიანობაში ჩარევის უფლება არ აქვს, ვთქვი, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას არ აქვს უფლება, ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის განკარგვის საქმეებში ჩაერიოს ისევე, როგორც, მაგალითად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არ აქვს თვითმმართველი ქალაქის, ბათუმის ბიუჯეტში ჩარევის უფლება. ეს კანონითაა გაწერილი და კანონი უნდა დავიცვათ. მიხარია, რომ საზოგადოების მხრიდან ასეთი რეაქცია იყო და მიხარია ისიც, რომ, მორალური თვალსაზრისით, ავთანდილ ბერიძემ უარი თქვა იმ ავტომობილის შეძენაზე. მას ამის უფლება ჰქონდა, მაგრამ საქართველოში არსებობს კანონი და არსებობს მორალური ვალდებულებები და მან სწორედ ამ მორალური ვალდებულებების გამო თქვა უარი, თორემ ვიმეორებ, კანონი არ დაურღვევია.

**— მან ისიც თქვა, ავტომობილის გამოცვლა უსაფრთხოების სამსახურმა მირჩიაო და რა გამოდის, ამ მორალური ვალდებულებების გამო თავი საფრთხეში ჩაიგდო?**

— ეს ინფორმაცია გადავამოწმე და ახალი მანქანის შეძენა, მართლაც, უსაფრთხოების სამსახურის მოთხოვნის შემდეგ გადაწყდა. ის ავტომობილი, რომლითაც ბერიძე გადაადგილდება, მართლაც, მოძველებულია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ბერიძის ნაბიჯი, მორალური თვალსაზრისით, სწორი იყო და მან შექმნა პრეცედენტი, როცა ჩინოვნიკმა საზოგადოების აზრი გაითვალისწინა.

**— საზოგადოების თუ კახა კალაძის?**

**— ვფიქრობ, კახა არ მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო. მან კანონის ზღვარზე გაიარა. არ ვამბობ, რომ კანონი დაარღვია, მაგრამ ამ განცხადებით, კანონის ზღვარზე აშკარად გაიარა. ბერიძე და კალაძე შეხვდნენ ერთმანეთს და ეს კონფლიქტი ამოწურულია.**

**— ეს შეხვედრა მობოდიშება იყო კალაძის მხრიდან?**

— არა, ასე ვერ ვიტყვი, ეს იყო საუბარი, რომლის დროსაც ყველაფერი გაირკვა. კახა ალბათ გადაღლილი იყო, როცა ეს განცხადება გააკეთა. როცა საქმე პარტიას ეხება, ეს ამბავი პარტიის შიგნით უნდა გადაწყდეს და არ უნდა გახდეს საჯარო.

**— კი, მაგრამ კალაძეს ირაკლი ღარიბაშვილიც დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ბერიძის საკითხი პარტიის სხდომაზე დაისმებოდა...**

— მისი განცხადებაც ნაჩქარევი იყო.

**პარტია ადამიანთა გაერთიანებაა და როცა რამე ხდება, ის არ უნდა იყოს საჯარო. თუ საჯარო ხდება, ეს უკვე პარტიის დისკრედიტაციაა. არ ვიცავ ბერიძეს, მე ვიცავ კანონს. პასუხისმგებელი ვარ საქართველოს ბიუჯეტზე და შეხება არ მაქვს აჭარის ბიუჯეტთან, მაგრამ კარგად ვაკონტროლებ სიტუაციას და ვიცი, რომ დარჩა ნაშთი 180 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, არავის საქმე არაა, ამ ნაშთს ადგილობრივი ხელისუფლება როგორ გამოიყენებს, ავტომობილს იყიდის თუ საწერ კალმებს. ეს არის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების გადასაწყვეტი.**

**— კი, მაგრამ როცა ნაშთი რჩება და ამ ნაშთით 83-ათასიან მანქანას ყიდულობს, დამეთანხმეთ, ლამაზად არ ჩანს და ამას საზოგადოება ძნელად გაიგებს.**

— ჰოდა, ხომ დაემორჩილა ბერიძე საზოგადოების აზრს? ახლა კი ჩვენ ის ტოტი მოვჭერით, რომელზეც ვისხედით. შეგვეძლო, ოპონენტებისთვის გვეთქვა, რომ საზოგადოების აზრს ვითვალისწინებთ, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით, რადგან შემიძლია დაგისახელოთ არაერთი ჩინოვნიკი, რომელმაც 2012 წლის შემდეგ ერთი მანქანა კი არ იყიდა, ავტოპარკი განაახლა და მაშინ ამაზე ხმა არავის ამოუღია. ან რატომ არის, რომ ერთი მინისტრი, მაგალითად, 80-ათასიანი მანქანით დადის, მეორე კი 100-ათასიანით? რატომ აქვთ უპირატესობა, რა, რეგალიების გამო? ამიტომ მალე პარლამენტში შევალ საკანონმდებლო ინიციატივით, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვის, როდის და რატომ შეეძლება ავტომობილის ყიდვა და აღარ იქნება ისე, რომ ვისაც რა ღირებულების მანქანა მოესურვება, იმას შეიძენს.

**არ მინდა მივიღო ახალი ნაციონალური მოძრაობა და იმიტომ ვამბობ ამას. სწორედ ნაციონალების დროს იყო, ერთი კაცი ყველგან და ყველაფერში რომ ერეოდა. ჩვენ უნდა დავიცვათ კანონი და უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ რაც ჩვენი საქმე არ არის, რა თანამდებობაც უნდა გვქონდეს, არ ჩავერიოთ. სხვათა შორის, როცა მანქანის შესაძენად უკვე ჩატარებული ტენდერი გაუქმდა, ამით ფინანსური ვალდებულება დაეკისრა აჭარის ხელისუფლებას. ასეა, როცა ხელშეკრულებას აუქმებ, უნდა გადაიხადო.**

**— სოციალურ ქსელში გავრცელდა კადრები, სადაც ბატონი ავთოს თანმხლებ პირს მისთვის ქოლგა უჭირავს. ამას როგორ აფასებთ?**

— თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო „მაესტროს“ ჟურნალისტებს, დიანა ტრაპაიძესა და თეონა გოგელიას, მოიხადონ საჯარო ბოდიში. კადრში ჩანს, რომ ბერიძე მეგობრებთან ერთად სასაფლაოზე მიდის. გარდაცვლილი ეროვნული მოძრაობის ძველი და აქტიური წევრი იყო და მეგობარს უჭირავს ქოლგა, მერე რა? მე მინახავს, როცა თავად ბერიძეს უჭირავს ქოლგა და მეგობარს წვიმისგან იცავს, მეც დამიჭერია ქოლგა და რა ამით? საქართველო ტემპერამენტიანი ხალხის ქვეყანაა და ტრაპაიძესა და გოგელიას იმ ქირქილისთვის ბოდიშის მოხდა მართებთ. როგორ გგონიათ, ბარამიძეს პარლამენტში პასუხი რატომ მოსთხოვეს? იმიტომ კი არა, რომ აფრასიძეები ჩახოცა, არამედ იმიტომ, რომ საფლავები წაბილწა. ათი წლის შემდეგაც არ აპატიეს ეს და როგორ გგონიათ, ტრაპაიძეს და გოგელიას არ გაუხსენებენ საფლავებზე ქირქილს?

**— დასასრულ, ბატონო მურმან, დაგვეთანხმეთ, რომ ამ სიტუაციაში, როცა ეკონომიკურად არცთუ სახარბიელო მდგომარეობაა, ბერიძის მანქანამ ძალიან „იყვირა“.**

— დაგეთანხმებით, მაგრამ თქვენც დამეთანხმეთ, რომ ეს არ იყო საჯარო განხილვის თემა და ვიმეორებ, ავთანდილ ბერიძე არ არის პირველი, ვინც ახალი მანქანის ყიდვა გადაწყვიტა. თანაც, ეს არ იყო მისი პირადი გადაწყვეტილება — უსაფრთხოების სამსახურმა სთხოვა ამის გაკეთება. საუბარი ერთ მანქანაზეა, სხვა შემთხვევებში კი ავტოპარკები შეიცვალა. მაშინ ეს ყველაფერი მშვიდად ჩატარდა და ეს 2012 წლის არჩევნების მერე ანუ ჩვენი ხელისუფლების პირობებში მოხდა.

# გიორგი ვაშაძე: „არ ვაპირებ, ჯოზეფ ქეის ბოდიში მოვუხადო!“

რუსუდან შელია
557-100-768



საპარლამენტო უმცირესობის წევრ გიორგი ვაშაძეს ბიზნესმენ ჯოზეფ კეის სასარგებლოდ 50 000 ლარის გადახდა დაეკისრა — 13 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის საფუძველზე, დაუსწრებელი გადაწყვეტილება მიიღო და ჯოზეფ ქეის სარჩელი დააკმაყოფილა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, თანხასთან ერთად, გიორგი ვაშაძეს გავრცელებული ცილისმწამებლური განცხადებების მედიის საშუალებით უარყოფაც დაეკისრა. ცნობილია, რომ ბიზნესმენმა სასამართლოში სარჩელი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის წინააღმდეგ, შეურაცხყოფისა და არასწორი ინფორმაციის გავრცელებისთვის რამდენიმე თვის წინ შეიტანა. მოგვიანებით, ჯოზეფ ქეის ადვოკატის, **ირაკლი ყანდაშვილის** განცხადებაც გავრცელდა, სადაც ნათქვამია: **„მოსარჩელე მხარე იმედოვნებს, რომ სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება გაკვეთილი იქნება ყველა იმ პირისთვის, ვინც უპასუხისმგებლოდ ცილისმწამებლურ განცხადებებს ავრცელებს, რითაც უხეშად არღვევს ადამიანის უდანაშაულობის პრეზუმპციას, პატივს, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას“.**

„ვერსია“, საქმის დეტალების გასარკვევად, გიორგი ვაშაძის ადვოკატს, **ქეთევან ზანდუკელს** დაუკავშირდა, რომლის განმარტებითაც, სასამართლოზე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ვერ გამოცხადდა, ამიტომ მოსამართლის გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს: **„სასამართლომ გადაწყვეტილება მოპასუხე მხარის დაუსწრებლად გამოიტანა. პროცესზე დროულად ვერ გამოვცხადდი, რადგან ჯანმრთელობის გაუთვალისწინებელი პრობლემა შემექმნა და საავადმყოფოში აღმოვჩნდი. სასამართლოს გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებთ, რადგან როგორც გითხარით, პროცესზე საპატიო მიზეზის გამო ვერ გამოვცხადდი. როგორც წესი, სამოქალაქო კოდექსი მსგავს შემთხვევებს ითვალისწინებს, ამიტომ ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში გაუქმდება და საქმის არსებითი განხილვაც დაიწყება, რაც ჯერ არ ყოფილა. დარწმუნებული ვარ, თუ მიღებული გადაწყვეტილება გაბათილდება და პროცესი განახლდება, შესაგებელ სარჩელში ჩვენს მიერ მომზადებულ მტკიცებულებებს სასამართლო გაითვალისწინებს. ჩვენ დასაბუთებულად შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ გიორგი ვაშაძის წინააღმდეგ ჯოზეფ ქეის ბრალდება აბსოლუტურად უსაფუძვლოა, ამიტომ ველოდებით, რომ საქმე ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება, თანხის გადახდას კი გიორგი ვაშაძე არ აპირებს.“**

თავად **გიორგი ვაშაძე** სასამართლოს გადაწყვეტილებას სოციალურ ქსელში გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ბრძოლის გაგრძელებას აპირებს: **„ბრძოლას ვაგრძელებ და დარწმუნებული ვარ, ამ საქმეშიც გავიმარჯვებთ. არ ვაპირებ ჯოზეფ ქეის ბოდიში მოვუხადო!“**



# ვანოს ახალი პოლიტიკური ინტრიგა თუ მთავარი პროკურორის ჩავარდნილი სპეცოპერაცია?



ანი დადიანი

ვანო მერაბიშვილის სკანდალურმა განცხადებამ, სხვების არ ვიცი, მაგრამ მე, „რუსთავი2"-ის კადრები გამახსენა: საიდუმლო სერობა ვაკეში, პატარკაციშვილთან შეხვედრის შემდეგ, სადარბაზოდან გამოსული კახა თარგამაძე, ჯიპში ჩაჯდომისას ზეწარგადაფარებული რომ ემალებოდა ვიდეოკამერას! როგორც მერაბიშვილი ამბობს, იგი მატროსოვის ციხიდან წაიყვანეს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მთავარ პროკურორს შეახვედრეს: **„პარასკევს, გვიან ღამით, ანუ შაბათს დილას, ღამის ორისნახევარზე, გამომიყვანეს ციხიდან, ჩამსვეს მანქანაში, თავზე გადამახურეს ჩემივე მოსაცმელი და წამიყვანეს, ჩემი ვარაუდით სასჯელაღსრულების დეპარტამენტში... მთავარი, ვინც იქ დამხვდა, ახლა არის საქართველოს მთავარი პროკურორი. ზოგად განცხადებას გავაკეთებ, რას შეეხებოდა ჩვენი საუბარი, მთავარმა პროკურორმა წამომიყენა ულტიმატუმი, რომ თუ მე არ დავეხმარები ჟვანიას საქმის გახსნაში, თუ არ მივაწოდებ პროკურატურას მიხეილ სააკაშვილის საბანკო ანგარიშების ნომრებს, მაშინ ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდები, მე ამ ორ საკითხთან დაკავშირებით, მკაფიოდ გამოვხატე ჩემი აზრი. კერძოდ, სააკაშვილის ანგარიშებზე. ძალიან მოკლედ, სააკაშვილთან შეიძლება ბევრი პრეტენზიები აქვთ, მაგრამ კორუფციაში სააკაშვილის დადანაშაულება სრული უაზრობაა. პროკურორმა მითხრა, რომ თუ მე მის წინადადებას არ დავთანხმდები, ჩემი პირობები ციხეში მკვეთრად გაუარესდება, რაზეც მე მივუგე, რომ ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს. მან მკაფიოდ განმიმარტა, რომ ტირის დედაჩემი ყოველდღე, როგორ უჭირს ჩემს ოჯახს, ამბობდა, რომ მე ყველამ მიმატოვა და მითხრა, რომ სანამ ღარიბაშვილის მთავრობა იქნება ხელისუფლებაში, მე ციხიდან ვერ გავალ. ამავე დროს, იგი მომისვამს გვერდით ჩემს პარტიულ და არაპარტიულ მეგობრებს, ჩემს ნათესავებსა და მეგობრებს, ვისაც ბიზნესი გააჩნია და შეიქმნება სხვა წვრილმანი დაშინებების სერია. მან განმიმარტა, რომ ისინი მაინც გახსნიან ჟვანიას საქმეს, ამაში ამერიკელები ეხმარებიან, რაზეც მე ირონიულად გამეცინა, რადგანაც მოგეხსენებათ, რომ ამერიკის ფედერალური ბიურო თავიდანვე ჩართული იყო გამოძიების პროცესში. მათ მომცეს დრო ორშაბათამდე და მითხრეს, რომ ორშაბათამდე მაქვს დრო. პერსპექტივა ასეთი დამიხატეს, რომ თუ დავთანხმდებოდი, იმ ფულს, რომელიც „მოპარული" მაქვს, გამატანინებდნენ საქართველოდან. პროკურორმა, შემახსენა, ნუთუ ვერ ხვდები, რომ ჩვენ უკვე სასამართლოსაც ვაკონტროლებთო, რა თქმა უნდა, მოწმეებიც ჩვენთან არიან და იტყვიან იმას, რაც ჩვენ გვინდაო. აქამდე ჩვენ არ ვიყენებდით მოწმეებს შენს საწინააღმდეგოდ, იმიტომ, რომ გვინდოდა შანსი მოგვეცაო. ანუ შანსი იმაში მდგომარეობდა, რომ მომცემდნენ უფლებას ჩემი ფულიანად საქართველოდან გავსულიყავი. ანუ ამ გარიგების სანაცვლოდ, მე საქართველოში დარჩენის უფლებაც ვერ მოვიპოვე. რა თქმა უნდა, ეს არის ძალიან სერიოზული განცხადება, მსგავსი რამ არა თუ რომელიმე ევროპულ, აზიურ ქვეყანაშიც არ მახსენდება, უშუალოდ მთავარი პროკურორი, რომლის მოვალეობაცაა საქართველოში კანონის დაცვა, თვითონ უშუალოდ „აკაჩავებდეს"..."**

ვერ გავიგე, ამ ხალხს სჭირს სკლეროზი თუ მე დამემართა დეჟავუ — „მსგავსი რამეები" არ ხდებოდა არც ევროპულ და არც აზიურ ქვეყანაში, ევროპა-აზიის გზაგასაყარზე მყოფ ტურფა საქართველოში? — საპროცესო გარიგებები, რომელიც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ციხეში გამომწყვდეულ შევარდნაძისდროინდელ ჩინოვნიკებს — სულხან მოლაშვილს, დავით მირცხულავას, აკაკი ჩხაიძეს, მერაბ ადეიშვილსა და უამრავ სხვას გაუფორმეს? სწორედ ვანო მერაბიშვილი და მისი გამომძიებელ-პროკურორები სთხოვდნენ მათ ინფორმაციებს გაუხსნელ საქმეებზე (და იღებდნენ კიდეც), თუმცა ამას ერთ დეტალსაც ამატებდნენ — ანგარიშის ნომერი „რესპუბლიკა ბანკში" დახურულ ანგარიშზე და ექვსნიშნა თანხა, რომელიც პატიმრის ოჯახს სააკაშვილის ხელისუფლებისთვის უნდა ჩაერიცხა, სხვათაშორის, სულხან მოლაშვილის ოჯახმა ქონება ჩააბარა კიდეც, მაგრამ მაინც ციხეში „ამოალპეს"... ვანო მერაბიშვილის განცხადების სწორად გასააზრებლად კი აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ირაკლი ოქრუაშვილი, რომელზეც საკანში სააკაშვილის მაღალჩინოსნებმა სწორედ ამგვარი ზეწოლა განახორციელეს (თუმცა ოქრუაშვილი დღემდე არ ამბობს ამ ციხის ვიზიტის დეტალებს, ეკა ბესელიამ გაიხსენოს, ეცოდინება...), სატელევიზიო აღიარებაც მიიღეს, სააკაშვილის საჯარო ლანძღვა-გინებაც და კიდევ უამრავი რამ... ოქრუაშვილი კი, ჯანმრთელობის გაუარესების მოტივით (ვანოსაც გაუარესებული აქვს), თვითმფრინავის ტრაპამდე სწორედ მერაბიშვილის ხალხმა მიაცილა და ყველა ის სიკეთე უბოძა, რომელიც დღემდე პარიზში ბედნიერად აცხოვრებს შს და თავდაცვის ექსმინისტრსა და ყოფილ გენპროკურორს... სხვათაშორის, ნაციონალები, რომლებიც ყველა პოლიტიკურ ოპონენტს სიცოცხლეს უმწარებდნენ, ოქროს არც კი იმჩნევდნენ და შიგადაშიგ არც პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილებაში უშლიდნენ ხელს... ნეტავ, რატომ? ჰოდა, რა არის ეს ჩემი დეჟავუ თუ ვანოს სკლეროზი?

სხვათაშორის, მერაბიშვილი სამართალდამცავებს უფასო რჩევასაც აძლევს, როგორ უნდა გამოიძიონ საქმე: **„მე გეტყვით, როგორ შეიძლება გამოძიება ჩატარდეს. ჩემი საკნიდან გამოსასვლელამდე არის სამი მორიგის პოსტი, ექვსი სათვალთვალო კამერა, ჩემი კორპუსის გამოსასვლელში არის ვიდეოკამერა, არის შიდა ეზოს პოსტი, მოდის დიდი ალაყაფი, რომელსაც, მინიმუმ, სამი კამერა ექნება, აქაც მუშაობს რამდენიმე ადამიანი, რომელიც დაესწრებოდა ჩემს გასვლას და შემოსვლას, იქვე არის ე.წ. ანძები, სადაც ჯარისკაცები დგანან პოსტებზე. სავარაუდოდ, ციხიდან გამოსასვლელიდან, ვერ ვადასტურებ, სახეზე გადაფარებული მქონდა, ჩაწოლილი ვიყავი მანქანაში, არის ქალაქის ვიდეოკამერები, მახსოვს კაბინეტიც, თავისუფლად შემიძლია ამოვიცნო ის ორი ადამიანი, ვინც ჩემს გვერდით იჯდა, სპეციფიკური სახეები ჰქონდათ და არ ამერევა, მეორე ადამიანს, ვინც იყო იმ ოთახში, მე მას ვიცნობ. ის პოლიციაში მუშაობდა, მან შემახსენა, რომ ის არის ერთი ჩემი მეგობრის შვილის ნათლია, არ არის გამორიცხული, რომ ის იყოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, დარბაისელი. მე ვთხოვე ჩემს ადვოკატებს, რომ მოეტანათ სურათები ამ ადამიანის, ეს სურათი ვერ მოვიპოვე დაზუსტებით ვერ გეტყვით.**

**ეს დარბაისელი იყო ბოლომდე გაბრუებული ნარკოტიკებით და საკუთარ თავს ვერ აკონტროლებდა. რომ შევედი, ამ ადამიანმა დაიწყო აქტიური გინება გიორგი ონიანის, მუქარები და ასე შემდეგ, მე გამიკვირდა, რა შუაში იყო ონიანი ჩემთან, მე მივხვდი, რომ მას ქუჩური გარჩევები სურდა, შემდეგ პროკურორმა მას შეუსწორა და უთხრა, რომ ონიანი ბაჩოს ადვოკატია და არა ვანოსიო, ის იმდენად იყო „კაიფში", რომ სამჯერ თქმა დასჭირდა. სიმართლე გითხრათ, დიდი ხანია არ მქონია „ბედნიერება" იმისა, რომ მე იმ ოთახში ვყოფილიყავი, სადაც ნარკოტიკებით გაბრუებული ადამიანი იყო. მე შემიძლია ვთქვა, რომ იგივე გზა გამოვიარე უკანაც, იგივე ვიდეოკამერები, თუ ახლა არ წაიშლება ჩანაწერები. მე მიახლოებითი დროც შემიძლია მივუთითო. ორის ნახევარზე გამიყვანეს და სამის ნახევარზე დამაბრუნეს..."**

ვანო მერაბიშვილის განცხადებას, ბუნებრივია, სკანდალი მოჰყვა. მთავარი პროკურატურა ვანო მერაბიშვილზე ზეწოლის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და განცხადებას აბსურდულს უწოდებს. სასჯელაღსრულების სამინისტრო კი მზადაა, გამოძიებას, მოთხოვნისთანავე, მიაწოდოს განცხადებაში აღნიშნული ვიდეოჩანაწერები. 18 დეკემბერს სახალხო დამცველის წარმომადგენლები შეხვდებიან თავად პატიმარს, რომლის ადვოკატმა უკვე შეიტანა განაცხადი ვიდეოანაწერების ამოღების მოთხოვნით. განცხადებას ბაქოდან გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც განაცხადა:

**„ცოტა არ არის, მართლაც, არასერიოზულია ეს განცხადება, რბილად რომ ვთქვათ. ეს გატაცებები, თავზეჩამოცმები, ეს არ არის ჩვენი პირობები და ეს არ უკავშირდება ჩვენ პერიოდს. ჩვენ მსგავსი მეთოდებით არ ვმუშაობთ, თუ რაიმე გვაინტერესებს, მთელი რიგი პროცედურებია, გამომძიებლები შევლენ და დაკითხავენ. უბრალოდ, ამის საჭიროება არ არსებობს. ჩემზე უკეთესი რესპოდენტი შეგიძლიათ მოიკითხოთ იგივე ფსიქოლოგებისა და ფსიქოანალიტიკოსების განხრით. ამასთან დაკავშირებით უფრო სერიოზულ და კომპეტენტურ კომენტარს ისინი გააკეთებენ, ან შეიძლება ფსიქიატრებიც. არ ვიცი, ეს რა შეიძლება იყოს. ეს შეიძლება იყოს გარკვეული პროვოკაცია დაგეგმილი ჩვენი ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს შეიძლება მცდელობა იყოს იმისთვის, რომ ახალი პროკურორის დისკრედიტაცია მოხდეს. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს შიშისგან, ამ შემთხვევაში არსებობს რამდენიმე ვარიანტი, თუ რატომ გააკეთა მან ეს განცხადება. ერთი ის, რომ ალბათ, მოჭარბებული შიში აქვს. მე მოვისმინე განცხადებები, რომ დააკავეს ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც ძველი თბილისის გამგეობის თანამშრომელი იყო, რომელიც ასევე წარსულში ჟვანიას მძღოლი თუ პირადი დაცვა იყო. მეორე ვერსია შეიძლება იყოს ის, რომ ის ცდილობს დააშანტაჟოს მისი ყოფილი ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილი, რადგან ძალიან უცნაურად დაემთხვა ის დაკავება, თუმცა ის სულ სხვა საქმეზეა დაკავებული. ალბათ, მაინც მოეძალა ეს შიში. ჩემი შეფასებაა ის, რომ ალბათ, უფრო მიზანმიმართული იყო. ერთი ის, რომ მოხდეს გარკვეული პროვოკაცია, ჩვენი ხელისუფლების მიზანმიმართული დისკრედიტაცია და მეორე — სააკაშვილის დაშანტაჟება ვანო მერაბიშვილის მიერ".**

ირაკლი ღარიბაშვილის ვარაუდი, შესაძლებელია, სიმართლესთან ახლოს იყოს, რადგან წარმოუდგენელია, სპეცსამსახურის ისეთ გამოცდილ თანამშრომელს, როგორიც დღევანდელი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძეა და რომელსაც უამრავი საიდუმლო სპეცოპერაცია აქვს შესრულებული, ასეთი არაპროფესიონალიზმი გამოეჩინა და შეხვედრა ასე დაუდევრად დაეგეგმა. ღიად რომ მისულიყო მატროსოვზე ანდა პატიმარი მიეყვანათ მასთან, რა ფაქტს ვერ „გააპრავებდა" თუ „დაკაჩავებას" ვერ დამალავდა? ვიდეოკადრებისა და უამრავი მოწმის შესახებ მარტო მერაბიშვილმა ხომ არ იცის, ფარცხალაძეც საქმის კურსშია, საეჭვოა, გაერისკა... ანდა რატომ იყო დარწმუნებული, რომ ვანოს ჩუმად იქნებოდა, დუმილის აღქმა დაადებინა ხატის წინ თუ რა?! თუ ყველა ეს კითხვა დაუსვა საკუთარ თავს მთავარ პროკურორმა და ვანო მაინც მართალია, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების ისეთივე უტიფრობასთან გვაქვს საქმე, ნაციონალების დროს რომ გვქონდა და მკაცრი ზომებია მისაღები!

არ არის გამორიცხული, საქმე გვქონდეს პოლიტიკური ინტრიგების დიდოსტატის მორიგ ავანტიურასთან — ჟვანიას დაცვის უფროსი კობა ხარშილაძე დაკავებულია, მართალია, თავად ხარშილაძე მკვლელობის ღამეს რესტორანში ქეიფობდა და პრემიერის გარდაცვალების შესახებ დაცვის მეორე წევრმა ძაძამიამ აცნობა, მაგრამ, გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ ის მივიდა კონსპირაციულ ბინაში და მანვე გაიტანა რაღაც ნივთები ჟვანიას სეიფიდან... ანუ შესაძლებელია მერაბიშვილს პოსტმკვლელობის ეტაპის უფრო ეშინოდეს... დაპატიმრებულია დავით ჩხატარაშვილი, რომელსაც რატომღაც ყველა ზურაბ ადეიშვილს უკავშირებს, თუმცა ავიწყდებათ, საიდან და როგორ მოხვდა იგი იუსტიციის სამინისტროში ანდა რატომ გაირბინა შავმა კატამ ჩხატარაშვილ-მერაბიშვილს შორის. და ბოლოს, ივანიშვილის ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმის გასამაგრებლად ფაქტებს რომ აგროვებს, ამის შესახებ სამართალდამცველები პირად საუბრებშიც არ მალავენ. როგორც ჩანს, ვანო პრეზიდენტისგან დუმილის ნაცვლად გარკვეულ სამსახურს ითხოვს. რა სამსახურს, ეს ძალიან მალე გამოჩნდება, როცა მერაბიშვილის ინტრიგა ადრესატამდე მივა...

# აუტიზმი, ჩიყვი, უშვილობა, ნაყოფის მოწყვეტა, „ტვინის გამოშრობა“, ნაადრევი სიბერე, ალერგია, ჰომოსექსუალიზმი — მიზეზი გენმოდიფიცირებული სოიო!

## ვეგეტარიანელებისა და მარხულების დილემა — არის თუ არა ვირთხის გენით მიღებული სოიო მცენარეული საკვები?



ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**მეცნიერების დიდი ნაწილის მტკიცებით, დღეს ბუნებრივი სოიო აღარ არსებობს და ნებისმიერ ქვეყანაში მოყვანილი მცენარე გენმოდიფიცირებულია. გმ სოიოს კი, როგორც ირკვევა, არანაირი კვებითი ღირებულება არ გააჩნია; პირიქით, მისი მიღება ადამიანის ჯანმრთელობას დიდ საფრთხეს უქმნის — „ტვინის გამოშრობა“, აუტიზმი, ჩიყვი, უშვილობა, ნაყოფის მოწყვეტა... ეს იმ დაავადებათა მცირე ჩამონათვალია, რომლის მიზეზიც გმ სოიო შეიძლება გახდეს. პარალელურად, მეცნიერები კიდევ ერთ დასკვნამდე მივიდნენ: სოიო ჰომოსექსუალიზმის მიზეზია! ამ ფონზე, ექიმები მშობლებს ურჩევენ, ბავშვებს, განსაკუთრებით ბიჭებს, არ აჭამონ სოიოს შემცველი პროდუქტი. არადა, სოიოსგან „თავისდაღწევა“ ძალიან რთულია, რადგან ის მაგალითად ამერიკაში წარმოებული პროდუქციის თითქმის 80%-ის შემადგენლობაშია. შოკოლადის, კანფეტის, ყავის, ძეხვეულის, რძისა თუ სხვა პროდუქტის მწარმოებლები, ინგრედიენტად გმ სოიოს გამოყენებაზე არც სხვა ქვეყნებში ამბობენ უარს.**

მსოფლიო მასშტაბით, დღითიდღე იზრდება იმ ექიმების რიცხვი, რომლებიც პაციენტებს მოუწოდებენ, არავითარ შემთხვევაში არ მიირთვან გენმოდიფიცირებული პროდუქტი. ამ მოწოდების საფუძველი შემაშფოთებელი მეცნიერული მტკიცებულებებია — ცხოველებს, რომელთაც გენმოდიფიცირებული პროდუქტით კვებავენ, უნაყოფობა და დაქვეითებული იმუნოსისტემა აქვთ, ისინი ძალიან სწრაფად ბერდებიან, გააჩნიათ ინსულინის დონის რეგულირების პრობლემა, ცვლილებები სხვადასხვა ორგანოებზე... მიმდინარე წლის 19 მაისს, ენვირომენტალური მედიცინის ამერიკულმა აკადემიამ (ემაა) მოუწოდა ექიმებს, ასწავლონ პაციენტებს, როგორ აარიდონ თავი გმო-ს; მეტიც — მედიცინის აკადემია მოუწოდებს პლანეტის ყველა მოქალაქეს, სადაც ხმა მიუწვდებათ, გაავრცელონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გმო მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

სპეციალისტები, გმ კულტურებიდან, ყველაზე დიდ ყურადღებას სოიოს მიმართ იჩენენ. ის ერთადერთი მარცვლეულია, რომელსაც აქვს უნარი, თავის წონაზე რამდენჯერმე მეტი წყალი შეიწოვოს და მასა გაზარდოს. მას შემდეგ, რაც მისი გენმოდიფიცირება მოახდინეს, არ ეკარება არც ერთი მავნებელი, იაფიცაა და უხვმოსავლიანიც. ამ ფონზე, გასაკვირი არაა, რომ სოიო ფართოდგავრცელებულია: მაგალითად, ევროკავშირი ყოველწლიურად მინიმუმ 50 მილიონ ტონა სოიოს ყიდის, პარალელურად, ის ლამის ყველა პროდუქტის ინგრედიენტად იქცა, აქტიურად გამოიყენება საქონლისა და ფრინველის საკვებადაც... ზოგადად, ბუნებრივ სოიოს, ბევრი კარგი თვისებაც აქვს — ცილებითაა გაჯერებული და მისი კვებითი ღირებულებაც მაღალია, მაგრამ სამწუხაროდ, ბუნებრივი სოიო დღეს, ფაქტობრივად, აღარ არსებობს — ნებისმიერ ქვეყანაში მოწეული თანამედროვე სოიო გენმოდიფიცირებულია! სპეციალისტი-ალერგოლოგი ჯონ ბოილსი ამბობს: „ხშირად ჩამიტარებია ტესტები სოიოზე — ჩვენს დროში ყველა სოიო გენმოდიფიცირებულია და ეს იმდენად საშიშია, რომ ადამიანებს არასოდეს ვურჩევ მის ჭამას“. ამ ფონზე, გასაკვირი არ არის, რომ ზოგ ქვეყანაში, მაგალითად — ფინეთში, ავსტრალიაში, ვენესუელაში, საბერძნეთსა და შვეიცარიაში სოიოსა და სოიოსშემცველი პროდუქტის შეტანა-გაყიდვა აკრძალულია!

**რატომ არის საშიში გმ სოიო? — ამის დასადგენად არაერთი კვლევა ჩატარდა. ზაზუნებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ სოიო მღრღნელების უნაყოფობისა და სიკვდილის მიზეზი გახდა. სავალალო შედეგით დასრულდა ორსულ თაგვებზე ჩატარებული კვლევები — მათ ორსულობის განმავლობაში ძირითადად, გმ სოიოთი კვებავდნენ. უმეტესობის შთამომავლობა სამ კვირაში დაიხოცა, გადარჩენილ წრუწუნებს კი, ზრდისა და რეპროდუქციის პრობლემები შეექმნათ.**

ამ კვლევების შემდეგ, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სოიოს მიღება განსაკუთრებით საშიშია ორსულებისთვის. სოიოს სისტემატურმა მიღებამ მუცლის მოწყვეტაც შეიძლება გამოიწვიოს. გმ სოიოში არის საშიში ჰერბიციდი რაუნდაპი. 2008 წელს Benachour&Seralin-ში გამოქვეყნებულ კვლევაში წერია, რომ ამ ჰერბიციდის უმცირეს დოზას (0,000001%) შეუძლია მოკლას ემბრიონის, ჭიპლარის სისხლისა და პლაცენტის უჯრედები. ტვინში დოფამინის ნაკლებობა, ადამიანის აქტიურობას ზღუდავს, ასევე დოფამინი მოქმედებს კუნთებისა და სახსრების განვითარებაზე. დადგინდა, რომ სოიო დოფამინის წარმოქმნას უშლის ხელს, რამაც შეიძლება იმოქმედოს ემბრიონის ტვინზეც და თუ მუცლის-მოშლა არ დაფიქსირდა, ბავშვი გონებაშეზღუდული დაიბადოს.

**სოიოს მიღება განსაკუთრებით საშიშია ორსულობის პირველ 12 კვირას, რადგან სწორედ ამ დროს შეიძლება მან ნაყოფის ტვინის ფორმირებაში კატასტროფული ცვლილებები გამოიწვიოს. 1999 წელს, სამედიცინო ჟურნალში New England Journal of Medicine, გამოქვეყნდა კვლევა, სადაც წერია, რომ იმ ქალების დიდ ნაწილს, ვინც ორსულობის პირველ კვირებში სოიოსშემცველი პროდუქტი მიიღეს და ნაყოფი შეინარჩუნეს, გონებაშეზღუდული და დაბალი ინტელექტუალური მაჩვენებლის ბავშვები გაუჩნდათ.**

სოიო საშიშია ბავშვებისთვისაც. ამის მიუხედავად, ძალიან ბევრი მწარმოებელი მსოფლიოში, საბავშვო კვებაში სოიოს ურევს, რის გამოც, მეცნიერები ძალიან წუხან. სხვა თუ არაფერი, გმ სოიო მოქმედებს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონირებაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჩიყვი. ბავშვებში კი — ჩიყვთან ერთად, აუტოიმუნური დაავადებაც. დასკვნამდე, რომ სოიოს შემცველი საბავშვო კვება ჩიყვსა და აუტიზმს იწვევდა, მეცნიერები ჯერ კიდევ 60-იან წლებში მივიდნენ. კორნელსკის უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯში კვლევაც ჩატარდა და დადგინდა, რომ აუტისტი ბავშვების უმრავლესობა დაბადებიდან სოიოზე დამზადებული რძით იკვებებოდა. სხვათა შორის, ამ კვლევის დროს მეცნიერები, კიდევ ერთ აღმოჩენამდე მივიდნენ — დიაბეტით დაავადებული ბავშვების დიდ უმრავლესობასაც დედები, სოიოსშემცველ საბავშვო კვებას აძლევდნენ. ამ ფონზე, შვედმა ექიმებმა პირდაპირ გაავრცელეს რეკომენდაცია, არ მივცეთ სოიოსგან წარმოებული პროდუქტი ბავშვებს. ინგლისსა და ავსტრალიაში კი, სამედიცინო ორგანიზაციები მშობლებს მოუწოდებენ, სანამ ბავშვს სოიოს გაასინჯებენ, ექიმთან გაიარონ კონსულტაცია.

**ყველა სახეობის სოიო შეიცავს ფლავონოიდებს, რომელიც ქალური ჰორმონის, ესტროგენის მცენარეული ანალოგია. ფიტოესტროგენების მაჩვენებელი სოიოში 1000-ჯერ მეტია, ვიდრე სხვა მცენარეებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სოიოს მიღებით, იტარებთ ჰორმონოთერაპიას, რომელმაც ორგანიზმში ბევრი უარყოფითი ცვლილება შეიძლება გამოიწვიოს. განსაკუთრებით საშიშია იგი ბავშვებისთვის. უფრო მეტად კი, ბიჭებისთვის — ესტროგენის ანალოგის მიღებით, ბიჭების ორგანიზმში ქალური ჰორმონების მოჭარბება ხდება. ამ ფონზე, მეცნიერების ნაწილი იმ დასკვნამდეც მივიდა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ასე გავრცელებული ჰომოსექსუალიზმის მიზეზი, არც მეტი, არც ნაკლები, სოიოა!**

*დასასრული მე-6 გვერდზე*



### 500-ლარიანი კომპენსაციის შესახებ ცვლილება პირველი იანვრიდან ამოქმედდება

2014 წლის 1 იანვრიდან საქართველოს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილება ძალაში შედის.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ცვლილების თანახმად, სახელმწიფო კომპენსაცია 500 ლარის ოდენობით უნდა დაენიშნოს „საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს. კონპენსაცია დაენიშნება ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის 22-24 აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს.

ამ კანონით გათვალისწინებული ოჯახის წევრის გარდაცვალების გამო კომპენსაცია პროპორციული განაწილების წესით ენიშნებათ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს — მშობლებს, მეუღლეს, შვილებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე და შრომისუუნარო შვილებს.

მოქალაქეებმა, რომლებიც მიეკუთვნებიან ზემოთ აღნიშნული კატეგორიის პირთა წრეს, სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე განცხადებით უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებს.

კომპენსაცია ინიშნება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ ფილიალში განცხადებისა და საჭირო დოკუმენტების წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან.

***„ინტერპრესნიუსი“***




### უკრაინული მედიის ცნობით, იანუკოვიჩი სამ მინისტრს დაითხოვს

უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრს, იგორ პრასოლოვას, საგარეო საქმეთა მინისტრს, ლეონიდ კოჟარასა და სამრეწველო პოლიტიკის მინისტრს მიხაილ კოროლენკოს თანამდებობიდან გადააყენებს. ამის შესახებ „კომერსანტ უკრაინა“ იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრებს პრეზიდენტი იმისთვის დაითხოვს, რომ მათ დროულად არ მიაწოდეს ინფორმაცია ხელისუფლებას იმ საფრთხეებზე, რაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას ახლავს უკრაინის ეკონომიკისთვის.

უკრაინის პრეზიდენტმა, ვიქტორ იანუკოვიჩმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ მკაცრად დაისჯებოდნენ ის პირები, რომლებიც უკრაინული მხრიდან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის მზადების პროცესში მონაწილეობდნენ.

ამასთან, 14 დეკემბერს იანუკოვიჩის განკარგულებით, ევრომაიდანზე 30 ნოემბერს მომიტინგეების ძალადობრივი დარბევის ბრალდებით თანამდებობიდან გაათავისუფლეს კიევის ადმინისტრაციის უფროსი ალექსანდრე პოპოვი და უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ვლადიმერ სივკოვიჩი.

უკრაინის გენპროკურატურის განცხადებით, მომიტინგეების დარბევაში ასევე დამნაშავეები არიან კიევის მილიციის ორი ხელმძღვანელი – ვალერი კორიაკი და მისი მოადგილე პეტრე ფიოდორჩუკი. ოთხივე მათგანის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით შიდაპატიმრობა განიხილება.

***„ინტერპრესნიუსი“***



ანზორ ჭითანავა

# ანზორ ჭითანავა: „ვინც ხუდონჰესის პროექტზე ამბობს, რომ დაძველებულია, მან არაფერი იცის“

## 70-იან წლებში ხუდონის მშენებლობა რომ დაიწყო, მაშინ არც ერთ ხაიშელს პროტესტი არ გამოუთქვამს

**„თუ ხუდონჰესი არ აშენდა, ის ადგილი მოსახლეობისგან დაიცლება. გარდა ამისა, აუცილებელი გახდება უკვე აშენებული ნაგებობების კონსერვაცია, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული, დაახლოებით 70 მილიონი დოლარია ამისთვის საჭირო. კონსერვაციის გარეშე იქ განვითარდება მეწყერული და ტექნოგენური პროცესები, საერთო ჯამში კი, ჰესის აუშენებლობა იმ ადგილებს მთლიანად გააუბედურებს“, — აცხადებს ხუდონჰესის პროექტის ერთ-ერთი ავტორი, ენერგეტიკოსი ანზორ ჭითანავა.**

**— ბატონო ანზორ, რამდენად აუცილებელია ხუდონჰესის მშენებლობა და რას მოუტანს ქვეყანას?**

— დავიწყოთ იმით, რომ დღეს მთავარი ენერგოუსაფრთხოებაა. ამ უსაფრთხოებას ემსახურება საკუთარი რესურსების ათვისება, რომელიც ყველა ქვეყანას ინდივიდუალური აქვს და თავისებურად ახერხებენ ამას. ჩვენთვის ეს პოლიტიკა საკუთარი რესურსების ათვისებაში გამოიყენება. გაერო ყველა ქვეყანას ავალებს, მათ საკუთარ რესურსებზე გააკეთონ ორიენტაცია და განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისებაზე. ჩვენს შემთხვევში, ჰიდრორესურსი არის ის, რაც საკმაოდ დიდი რაოდენობით გაგვაჩნია და რომელიც აუცილებლად უნდა ავითვისოთ. რაც შეეხება ხუდონჰესს, ჩვენი ქვეყანა საშუალოდ მიიღებს 1.6 მილიარდ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. თუ უხვწყლიანი პერიოდი იქნება, ეს მაჩვენებელი შეიძლება 10%-მდე გაიზარდოს, თუ მცირეწყლიანი — შეიძლება, 10%-მდე შემცირდეს. გარდა ამისა, ენგურჰესი და ხუდონჰესი ერთობლიობაში იმის გარანტი იქნება, რომ რაც უნდა მოხდეს, საქართველო არ ჩაბნელდება და ეკონომიკა პარალიზებული არ იქნება. ეს დამოკიდებულია ჟინვალჰესზეც, ხრამჰესზეც, მაგრამ ენგურისა და ხუდონის უპირატესობა ყველა სხვა ობიექტთან შედარებით, ისაა, რომ ეს ორი ობიექტი ერთი და იგივე რესურსს, ერთი და იგივე დროში, წამებში ისე განავითარებს, რომ ყოველგვარი ავარიებისგან დაგვიცავს. თუ ავარია მოხდება თბილსრესში, ენგურისა და ხუდონის საშუალებით, მისი ბალანსი წუთნახევარში აღდგება, მაგრამ თუ ენგურზე მოხდა ავარია, თბილსრესს პრობლემის მოსაგვარებლად, სულ ცოტა, 48 საათი დასჭირდება.

**— ოპონენტები ამბობენ, რომ ასეთი დიდი ჰესის მშენებლობა საჭირო არ არის, ენერგიას მცირე ჰესებიდანაც მივიღებთ. შესაძლებელია თუ არა, მცირე ჰესები ხუდონჰესის ალტერნატივად განვიხილოთ?**

— მცირე ჰესი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ გახდება დიდი ჰესის, ამ შემთხვევაში, ხუდონჰესის ალტერნატივა. მცირე ჰესს თავისი დანიშნულება აქვს, შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, მხოლოდ მცირე რაოდენობით სიმძლავრეებს განავითარებს. მცირე ჰესი, ეს არის ობიექტი, რომელსაც მხოლოდ ლოკალური პრობლემის გადაჭრა შეუძლია. მცირე ჰესების აშენებაზე დახარჯული ფული დაკარგულია. ხუდონჰესი არის პროექტი, რომელიც ქვეყნის განვითარებისთვისაა აუცილებელი.

**— საუბრობენ იმაზეც, რომ ხუდონჰესის პროექტი მოძველებულია, რადგან საბჭოთა პროექტია და თანამედროვეობას არ პასუხობს.**

— ამ ადამიანებს მინდა ვუთხრა, რომ საქართველოში გამომუშავებული ელექტროენერგიის 50% ენგურჰესზე მოდის. შესაბამისად, ისმის კითხვა, ვისთვისაა ენგურჰესი აშენებული? რა თქმა უნდა, საქართველოსთვის. რაც შეეხება თანამედროვეობასა და ხუდონჰესს, შეუძლებელია ოპონენტებს დაეთანხმო. ამბობენ იმასაც, რომ ავაშენოთ გვირაბი, მაგრამ თავადაც არ იციან, როგორ. ერთი კილომეტრი გვირაბი 100 კუბურ მეტრ წყალს იტევს, ხუდონის წყალსაცავი კი 564 მილიონი კუბური მეტრია. რამდენი გვირაბი უნდა ავაშენოთ და სად, რომ ეს წყალი დაიტიოს? მეორე შენიშვნაა კაშხლის სიმაღლის დაწევა, ჩვენ იქ უკვე გვაქვს 32-მეტრიანი ზღუდარი. შეგვიძლია ასეთი კიდევ ავაშენოთ, მაგრამ მაშინ მივიღებთ არა 700-მეგავატიან ჰესს, არამედ — 30-მეგავატიანს, რომელიც მხოლოდ მოდინებაზე იმუშავებს და ენერგიის დამზოგავი ვერ გახდება. აქედან გამომდინარე, ვინც ამბობს, რომ ხუდონჰესის პროექტი დაძველებული და საბჭოურია, სინამდვილეში, არაფერი იცის!

**— ხაიშელები ხუდონჰესის მშენებლობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან, როგორ წარმოგიდგენიათ ამ ადამიანების დათანხმება?**

— ძალიან ცუდია, რომ ჰესის მშენებლობით ხაიში იძირება, მაგრამ თქვენ დამისახელეთ რომელიმე ობიექტი, რომლის მშენებლობისას ან ხე არ გაჩეხილა, ან ვინმე არ გადაუსახლებიათ. 1979 წელს დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობა, მაგრამ არც ერთ ხაიშელს პროტესტი არ გამოუთქვამს. მაშინ მათ კომპენსაცია მიიღეს და ახლაც ასე უნდა მოხდეს. ხაიშელებთან მოლაპარაკების პროცესი აქტიურად უნდა დაიწყოს.

**— გარემოს დამცველები ამბობენ, რომ ხუდონჰესის პროექტი კლიმატის ცვლილებას გამოიწვევს, რაც ცუდად აისახება რეგიონზე. არსებობს თუ არა ამის საფრთხე?**

— ხაიში ზღვის დონიდან 160 კილომეტრზეა, ენგური — 60 კილომეტრზე. ტემპერატურისა და წნევის სხვაობა, მთიდან ზღვისკენაა. შეიძლება ზღვიდან მთისკენ, მესტიაში ნესტი ავიდეს? რა თქმა უნდა, არა. ჩვენ გვაქვს კლიმატოლოგიის ნაშრომი ენგურთან დაკავშირებით. ენგურზე იმიტომ ვსაუბრობ, რომ ის უკვე არსებობს და შედეგიც გვაქვს, ხუდონზე კი მხოლოდ პროგნოზი კეთდება. ამ დასკვნის მიხედვით, ენგურის აშენების შემდეგ, ზამთარსა და ზაფხულში, ტემპერატურის ცვლილება მხოლოდ 2 გრადუსია, ანუ ზამთარი 2 გრადუსით უფრო თბილი, ზაფხული კი 2 გრადუსით უფრო გრილი იქნებოდა. 35-წლიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ზამთარი 0.8 გრადუსით უფრო თბილი, ზაფხული — 1.2 გრადუსით უფრო გრილია. ცდომილება მინიმალურია და ისიც უკეთესობისკენ.

**— რას დავკარგავთ, თუ ხუდონჰესი არ აშენდება?**

— თუ ხუდონჰესი არ აშენდება, ის ადგილი მოსახლეობისგან დაიცლება. გარდა ამისა, აუცილებელი გახდება უკვე აშენებული ნაგებობების კონსერვაცია, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხებთანაა დაკავშირებული, დაახლოებით 70 000 000 აშშ დოლარია ამისათვის საჭირო. კონსერვაციის გარეშე, იქ განვითარდება მეწყერული და ტექნოგენური პროცესები, საერთო ჯამში კი ჰესის აუშენებლობა, იმ ადგილებს მთლიანად გააუბედურებს. ხუდონჰესის მშენებლობით, ქვეყანას დამატებითი ენერგია ექნება, ექსტრემალურ სიტუაციაში, საქართველო არ ჩაბნელდება. ამასთან, ჰესის აშენებით, არა მარტო რაიონი, მთლიანად რეგიონი განვითარდება. ხუდონჰესის მშენებლობას სტაბილიზაცია, ფერდობების მდგრადობა, კლიმატის გაუმჯობესება, მოსახლეობის დასაქმება, რეგიონისა და ტურიზმის განვითარება მოჰყვება. მოწესრიგდება ინფრასტრუქტურა, აშენდება გზები და ხიდები, ეს ყველაფერი ხუდონჰესის პროექტთან ერთად უნდა გაკეთდეს, რადგან რაც გაკეთებულია, უკვე ინგრევა.

*მაია ბარამიძე*

## SOS საფრთხე!

# აუტიზმი, ჩიყვი, უშვილობა, ნაყოფის მოწყვეტა, „ტვინის გამოშრობა“, ნაადრევი სიბერე, ალერგია, ჰომოსექსუალიზმი — მიზეზი გენმოდიფიცირებული სოიო!

*მე-5 გვერდიდან*

პარალელურად, სოიო უნაყოფობის მიზეზიც შეიძლება გახდეს, რადგან იგი ჰორმონალური მცენარეა. განსაკუთრებით საშიშია მისი მიღება მაშინ, როცა ყალიბდება ენდოკრინული სისტემა, საშვილოსნო... სოიოს მიღება გოგონებში ნაადრევ, ანომალიურ სექსუალურ მომწიფებას იწვევს, ამიტომ ექიმები გვირჩევენ, 15-16 წლამდე მკაცრად ვაკონტროლოთ ბავშვების კვების რაციონი და მაქსიმალურად ვეცადოთ, რომ მასში სოიო არ შედიოდეს.

სოიო ტვინზე მისი შემადგენელი ფიტომჟავის მეშვეობითაც მოქმედებს. ფიტომჟავა, ორგანული მჟავაა, რომელიც ბლოკავს ისეთი უმნიშვნელოვანესი მინერალების ასიმილაციას კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, როგორიცაა კალციუმი, მაგნიუმი, რკინა და თუთია. ეს განსაკუთრებით საშიშია ბავშვებში, რადგან დიეტოლოგ სალლი ფალონის თქმით, ბავშვის ორგანიზმში თუთიის დისბალანსი ზრდას აფერხებს. ზრდის შეფერხება კი, განსაკუთრებით სახიფათოა ჩვილებში, რადგან ხდება ცხიმების დაგროვება მიელინში (ნივთიერება, რომლითაც დაფარულია ნერვული ბოჭკოები), რაც ტვინის განვითარებას უშლის ხელს. ამან შეიძლება გამოიწვიოს ასევე აპათია, მეხსიერების დაქვეითება, ლეთარგია და გონებრივი დაავადებები.

გმ სოიოს არც ზრდასრულებისთვის მოაქვს სარგებელი. მეცნიერებმა უკვე დაადგინეს, რომ 2 თვის განმავლობაში, დღეში 2 ჩაის ჭიქა სოიოს ზეთის მიღება საკმარისია იმისთვის, რომ დაირღვეს ქალის მენსტრუალური ციკლი.

**პარალელურად, მკვლევარებმა, სკანდალური განცხადება გააკეთეს — გმ სოიოს პროდუქტი „ტვინს აშრობს“: კვლევაში 4 ათასამდე ხანშიშესული მამაკაცი მონაწილეობდა. ალცჰეიმერის სინდრომის (ტვინის ფატალური დაზიანება) დიაგნოზი კი დაუდგინეს მათ, ვინც ხშირად ჭამდა სოიოსგან დამზადებულ პროდუქტს. შესაბამისად, მეცნიერებმა დადეს დასკვნა — სოიოსმოყვარულებს, ალცჰეიმერით დაავადების 2,4-ჯერ მეტი რისკი აქვთ.**

**იკლებს ტვინის მასა — ზოგადად, ტვინის გამოშრობა ღრმა მოხუცებულობაში იწყება. 864 მამაკაცის გამოკვლევამ კი აჩვენა, რომ მათში, ვინც სოიოს ხშირად მიირთმევს, „ტვინის გამოშრობის“ პროცესი ნაადრევადაც იწყება და სწრაფადაც ვითარდება.**

ჰავაის ჯანდაცვის კვლევის ცენტრის დოქტორი ლონ უაიტომი მივიდა დასკვნამდე, რომ სისტემატურად მიღების შემთხვევაში, სოიო ორგანიზმს ერთ წელიწადში მინიმუმ 5 წლით აბერებს.

იაპონელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დღეში 30 გრამი (2 ჩაის კოვზი) სოიოს პროდუქტის მიღება საკმარისია, რათა ერთი თვის შემდეგ, ორგანიზმში აიწიოს თიროიდ-სტეროიდული ჰორმონის (TSH) მაჩვენებელმა, რაც ჩიყვის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს.

სპეციალისტებმა ასევე გამოარკვიეს, რომ ამერიკაში მოყვანილი გმ სოიო შეიცავს ყველაზე ტოქსიკურ ნივთიერებას, პესტიციდ დიელდრინს, რომელიც არის „დედეტე“-ს, იგივე „დუსტის“ მსგავსი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ნივთიერების გამოყენება ჯერ კიდევ 1970 წელს აიკრძალა, დიელდრინი დღემდე შემოინახა ნიადაგმა, რადგან ძალიან სტაბილური ნივთიერებაა. დიელდრინი 50-ჯერ ტოქსიკურია, ვიდრე „დუსტი“. ორგანიზმის მოწამვლის გარდა, ამ ტოქსინს შეუძლია მეხსიერების დაკარგვა და ჰალუცინაციებიც გამოიწვიოს. პარალელურად, სოიო, განსაკუთრებით ის, რომელიც ბავშვთა კვებაშია დამატებული, სხვა ნეიროტოქსინებსაც შეიძლება შეიცავდეს. მაგალითად ალუმინს, კადმიუმსა და ფტორს. კვლევებმა აჩვენა, რომ დედის რძესთან შედარებით, გმ სოიოს რძეში ალუმინის კონცენტრაცია 100-ჯერ მეტია, კადმიუმისა კი — 8-15-ჯერ მეტი.

მავნებლობასთან ერთად, გმ სოიომ, და ზოგადად გმ პროდუქტმა, მეცნიერებს კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩინა — უკვე ცნობილია, რომ თეთრი დათვისგან ყინვაგამძლე გენია აღებული, გველისგან — გვალვაგამძლე გენი... ამ ფონზე არის თუ არა ვეგეტარიანული საკვები, მაგალითად თევზისგენიანი პომიდორი, ძაღლისგენიანი ბადრიჯანი, ვირთაგვასგენიანი კომბოსტო... მეცნიერებს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ. ისიც გაურკვეველია, სოიო, რომელშიც მეცნიერების ნაწილის მტკიცებით აგრობაქტერიის ფერმენტის გენია ჩანერგილი, მეორე ნაწილის მტკიცებით კი — ვირთხის გენი, მცენარეული საკვებია თუ ცხოველური? ამ კითხვაზე პასუხი, ალბათ ვეგეტარიანელებზე არანაკლებ დააინტერესებს მორწმუნეებს. მათ, ვინც მარხვის დროს სოიოს კოტლეტებს ან მისგან დამზადებულ სხვა კერძს მიირთმევს. სამწუხაროდ, ბიოლოგიური კატეგორია ჯერ ვერ განისაზღვრა და დღემდე ვერ მოხერხდა დადგენა, მაგალითად ვირთხის გენისგან მიღებული გმ სოიო, არის თუ არა სამარხვო. სანამ მეცნიერები ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად თავს იმტვრევენ, ვეგეტარიანელებს და მარხულებს ისღა დარჩენიათ, სოიოზე უარი თქვან. მითუმეტეს, როგორც ირკვევა თანამედროვე სოიოს არანაირი სარგებელი არ მოაქვს, პირიქით, ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის.

## რომელი პროდუქტი შეიცავს გმ სოიოს?

გულდასმით წაიკითხეთ თითოეული პროდუქტის შემადგენლობა. თუ პირდაპირ „სოიო“ არაა მითითებული, გაითვალისწინეთ, რომ ბაზარზე ტრანსგენური სოიოს ერთი სახეობაა გავრცელებული — GTS 40-3-2. ის იყიდება სავაჭრო მარკით — Roundup Ready (RR). ამერიკული პროდუქტის 80%-ში სოიო არის.

სოიოს უმატებენ კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე — პროდუქტის ფასი დაბალი რომ იყოს. სოიოს მსოფლიო მწარმოებელთა შორის ლიდერია კომპანია „მონსანტო“. გმ სოიოს ასევე აქტიურად აწარმოებს არგენტინა და ბრაზილია. სოიოს დიდი ნაწილი გამოიყენება ზეთის მისაღებად, დამატებულია ყველა ფარშირებულ პროდუქტში, ყველა სახის სოსისში, ძეხვში, პელმენში, საბავშვო საკვების დიდ ნაწილში, მაიონეზში, რძის პროდუქტების დიდ ნაწილში, ყავაში, შოკოლადში, ზოგჯერ ფქვილშიც — ასეთი ფქვილისგან დამზადებული პროდუქტი მალფუჭებადია. თუ პროდუქტი მალე დაობდა, უნდა ივარაუდოთ, რომ მასში სოიო იყო შერეული.

# გენერალი ბორის ივანოვი სააკაშვილს ურჩევს, სამართალდამცავებს ჩაბარდეს!



## რა მიზნით დაბრუნდა საქართველოში სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**გენერალი ბორის ივანოვი, რომლის სახელიც 90-იანი წლების საქართველოში ყველამ იცოდა და რომელიც 2006 წელს ნაციონალების ხელისუფლებამ იარაღისა და ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით დააკავა, შემდეგ კი გირაოსა და ქვეყნის დატოვების პირობის სანაცვლოდ გაათავისუფლა, საქართველოში დაბრუნდა. თბილისელი ასირიელი, საქართველოს სამხედრო პოლიციის უფროსი, აფხაზეთის ომის მონაწილე, საქართველოს ასირიელთა კონგრესის თავმჯდომარე, მოგვიანებით, მოსკოვის პროკურატურის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მისი დაბრუნების მთავარი მიზანი რეაბილიტაციაა. რისთვის დააკავეს ნაციონალებმა გენერალი ივანოვი, რას მიიჩნევს აფხაზეთის დაკარგვის მთავარ მიზეზად, რატომაა დარწმუნებული, რომ ზურაბ ჟვანია მოკლულია და რას ფიქრობს რუსეთ-საქართველოს სამომავლო ურთიერთობაზე? — „ვერსია“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს გენერალ ბორის ივანოვთან.**

**— ბატონო ბორის, საუბარს ბოლოდროინდელი მოვლენებით დავიწყებ — თავის დროზე, იარაღისა და ნარკოტიკების ბრალდებით, დაუსწრებლად, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მოგისაჯეს, თუმცა ამ მუხლს, ახალი ხელისუფლების პირობებში, ამნისტია შეეხო. რა არის საქართველოში თქვენი დაბრუნების მიზანი — მხოლოდ რეაბილიტაცია თუ უფრო შორსმიმავალი გეგმები გაქვთ?**

— პირველ რიგში — რეაბილიტაცია! იცით, სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ისეთი შეურაცხყოფა მომაყენა, რომ ვერ აღვწერ! სხვის საქმეში არასოდეს ვერევი და თუ ეს ვინმეს ემლება, გინდ ხელმწიფე იყოს და გინდ რიგითი, პირდაპირ ვკითხავ: რატომ გეშლება?! მოსკოვში ვიგებდი, ადამიანებს როგორ ხოცავდნენ, იჭერდნენ, ძარცვავდნენ, ქონებას ართმევდნენ და ციხეებში აუპატიურებდნენ... ამაზე მეტი რაღა უნდა გაეკეთებინა სააკაშვილის მთავრობას? ეს ფაშიზმს გაუკეთებია?! ნაციონალების თავხედური ქმედებები 2005-2006 წლებში დაიწყო... უამრავ ადამიანს წაართვეს ფული... გააუბედურეს საქართველო!

**— 2006 წელს თქვენს დაკავებას მრავალი ვარაუდი მოჰყვა, მთავარი კი ორი ვერსია იყო: ერთი, როგორც ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსანი, ნაციონალთა ლიდერებზე კომპრომატებს ფლობდით და მეორე, კავშირი გქონდათ ემზარ კვიციანთან. როგორც ცნობილია, საქართველოში ე.წ. კვიციანის ამბოხებამდე 2 დღით ადრე ჩამოხვედით და, როგორც მაშინ ითქვა, დაპატიმრების მიზეზი კვიციანის დისშვილთან განხორციელებული სატელეფონო ზარი გახდა... ამ ვერსიებიდან რომელია მართალი?**

— ორი დღით კი არა, 2 კვირით ადრე ჩამოვედი და უკვე მივდიოდი — ბილეთი მქონდა აღებული. ჩემთან, სახლში, მეგობრები იყვნენ — სამხედროები, პროკურორები... ვისხედით, ვქეიფობდით, იცოდნენ, რომ 2 დღეში მივფრინავდი. ამ დროს ტელევიზიით ემზარ კვიციანის ამბები და კოდორის ხეობა აჩვენეს, მაგრამ ვერ გავიგეთ, კვიციანი დაჭერილი იყო თუ არა. მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ვიცოდი, ვაჟკაცი კაცია, მეომარი — როცა აფხაზეთიდან გამოვდიოდით, ხეობაში ვნახე, მაგრამ ერთმანეთს არ დავლაპარაკებივართ... ჰოდა, ერთ-ერთი ბატალიონის ყოფილმა მეთაურმა ემზარის ნათესავთან დარეკა, მაგრამ არ უპასუხა. იფიქრა, რომ მის ტელეფონს უსმენდნენ და ჩემი ტელეფონიდან დარეკა. ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ დაიწყო ჩემს უბანში სოდ-ისა და კუდ-ის ხალხის სიარული, თუმცა ყურადღება არ მიმქცევია. იმ დილას რაღაცები ვიყიდე, ქირის ფული გადავიხადე და, შინ რომ მივედი, მითხრეს, ნახე, რა ამბავშია სოდ-ის ხალხი, ალბათ, კარგი ამბავი არ არის, შენით ინტერესდებიანო. ყველამ მირჩია, წადი, გაეცალეო. ვუპასუხე: ბიჭო, ვის გავექცე — სააკაშვილსა და მის ხალხს? სულ რომ დამხვრიტონ, არ გავიქცევი, ჩემი ქალაქიდან ვერავინ გამაგდებს, მე წავიდე და თქვენ დაგტოვოთ? — მერე თქვენ დაგიწყებენ შეწუხებას, ჩემი ნათესავების დაჭერას დაიწყებენ-მეთქი. ყველაფერი, რაც სახლში ზედმეტი იყო, ჩემს ბიძაშვილთან გავიტანეთ. არ მინდოდა, იარაღი ან ავტომატი ჩაედოთ, ნარკოტიკზე არც მიფიქრია — საქართველოში ყველამ იცის, რომ ნარკომანი და სიტყვა ნარკოტიკიც მეზიზღება! სისტემაში ორმოცი წელი ვიმუშავე და ნარკომანს ერთხელაც არ დავხმარებივარ, ამიტომ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ მე, ბორია ივანოვს ნარკოტიკს ჩამიდებდნენ! ჩემი სახლისა და ქუჩის გარშემო ხალხი დავაყენე, რომ ეცნობებინათ, როდის მოვიდოდნენ... 7-ს 5 წუთი აკლდა, დისშვილმა რომ მითხრა, მოდიანო. ვიფიქრე, ჭიდაობაში, ქამარში იარაღი არ გამირჭონ-მეთქი და ქამრიანი შარვალი გავიხადე. სახლის კარი დავკეტე და ეზოში გავედით, გასაღები მეზობელ გოგონას მივეცი და ვუთხარი, რაც უნდა მოხდეს, კარი უჩემოდ არ გააღო-მეთქი. თურმე, მათ სახლი კი არა, მე ვჭირდებოდი. რომ მოდიოდნენ, გაფრთხილებული ვიყავი და, თურმე, ამ დროს ჯიბეში ნარკოტიკი მედო და ვერ გადავაგდე?! შემოვიდნენ და მითხრეს, ცუდ საქმეზე ვართ მოსულები, ბატონო გენერალოო! ვუპასუხე, არაფერია, დილიდან გელოდებით და რა გინდათ-მეთქი? ჩხრეკა უნდა ჩაგიტაროთო. არც გეკითხებით, ორდერი გაქვთ თუ არა, ჩავატაროთ კანონის ფარგლებში, მაგრამ არაფერი ჩამიდოთ-მეთქი... არაო. ჯერ ჯიბეები ამოვიტრიალე... ფეხშიშველი ვიყავი... ხელბორკილი უნდა დაგადოთო. დამადეს და ჭიდაობა დამიწყეს. ვეუბნები, შვილო, პატარა ბიჭი ხომ არ ვარ, ვერაფერს ჩამიდებთ-მეთქი. ამასობაში, ბორკილმა ხელები გამიჭრა. გამომძიებელმა მომატყუა, კარგი, ბატონო ბორია, დავამთავრეთ თქვენი ჩხრეკა, ახლა უნდა წაგიყვანოთო. მანქანა ეზოში შემოიყვანეთ-მეთქი. კი ბატონო, მაგრამ ხელები ზურგსუკან უნდა შეგიკრათ, ასეა წესიო. სამმა ხელები ამიწია, ძალაუნებურად დავიკუზე და ერთს დავარტყი, გადავარდა და, როგორც ჩანს, ამ დროს ნარკოტიკი ჯიბეში ჩამიდეს. ყველაფერი გააფორმეს და მითხრეს, ხელი მოაწერეო. იმ ორი კაცის გვარი მითხარი, ვინც ნარკოტიკი ჩამიდო და ხელს მოგიწერ-მეთქი... ხელი, ცხადია, არ მოვაწერე და ასე დაიწყო ჩემი ციხის ცხოვრება — 5 თვე და რაღაც დღეები ვიჯექი. ჩემი ერთადერთი მოთხოვნა იყო, გავესამართლებინე, თუნდაც 30 წელი მოეცათ, რომ ყველა ინსტანცია გამევლო და სტრასბურგში წავსულიყავი.

> **10 წელზე მეტი ასირიელთა კონგრესის პრეზიდენტი ვიყავი და რომ დამიჭირეს, მსოფლიო ასოციაციიდან ჩამოვიდნენ, მითხრეს, სტრასბურგში იჩივლეო. ციხეში „შტირი“ მქონდა, კაბინეტში მივყავდი დაკითხვაზე თუ ელჩთან შეხვედრაზე, სულ ამ „შტირით“ დავდიოდი — რა ვიცი, სად მივყავდი?! ცუდად მოქცევას ვერ გამიბედავდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ან მოვკვდებოდი ან ყველას დავხოცავდი! მერე გამომძიებელი საპროცესო შეთანხმებას მეხვეწებოდა, მე კი სასამართლოსა და განაჩენს ვითხოვდი! ბოლოს მაინც გირაოზე — 60 000 დოლარზე შევთანხმდით. შვილებმა მითხრეს, მამა, რაღაცას ვიზამთო. ჯერ 30 000 იშოვეს... ჩემი ადვოკატი შუამდგომლობას რომ წერდა, ვუთხარი, სიტყვა „თხოვნა“ არ ახსენო, ეს გამორიცხულია-მეთქი.**

ჩემთან, სახლში „გეკოს“ ტყვიები იპოვეს... მე, გენერალს ეს ტყვიები რად მინდოდა?! — თურმე ცხონებული მამაჩემი ვირთხებისთვის იყენებდა, დაჟანგებული იყო, ვინ იცის, რომელი წლის! ციხიდან შინ რომ მივედი, პროკურატურის დეპარტამენტის უფროსმა ბესო თხელიძემ ჩემს ადვოკატს რამდენჯერმე დაურეკა. ადვოკატმა თავიდან არ გვითხრა, ვინ რეკავდა. მერე, უთხრა: „ბატონო ბესო, კარგი, რა, ახლა გამოვიდა, აგერ, მთელი ნათესაობა აქ არის და წავა რუსეთში. თვითონ თქვა, რომ წავაო“. მოსკოვში ისედაც უნდა წავსულიყავი — სამკურნალოდ, თან ფულიც ხომ უნდა მეშოვა?! ჰოდა, გამიყვანეს საზღვარზე. აქ კი სასამართლომ დადგენილება გამოიტანა, რომ 15 იანვარს, 17. 00 საათზე სასამართლოში უნდა გამოვცხადებულიყავი. 3 თუ 4 იანვარს ჩემთან, სახლში მისულან. ამ დროს კი უკვე რუსეთში ვმკურნალობდი. იქ, 1-დან 10 იანვრამდე დასვენებაა, არავინ მუშაობს, შინ ფული ვის აქვს?! თან მრცხვენოდა — ახალწელს ხალხი ერთმანეთს ულოცავს, მე კი მივსულიყავი და მეთხოვა, ფული მომეცით-მეთქი. 11 იანვარს გირაოს თანხის მეორე ნაწილი გადმოვრიცხე და დამირეკეს, ჩამოდიო. ვუპასუხე, ექიმთან ვარ მისასვლელი და 15-ში ჩამოვალ-მეთქი. 9-ში საავადმყოფოში დავწექი — ყველა ცნობა მაქვს. საავადმყოფოდან 15 იანვარს, საღამოს გამომწერეს. ცნობა ფაქსით გადმოვგზავნე, მაგრამ ეს მოსამართლემ არ გაითვალისწინა და ჩემზე ძებნა გამოაცხადა... განა, არ იცოდნენ, რომ უკანონო გადაწყვეტილება მიიღეს, მაგრამ ეგონათ, კიდევ კარგა ხანს იქნებოდნენ ხელისუფლებაში!

> **უკანონობა კი არა, დანაშაული აქვს ჩადენილი მოსამართლე შკუბულიანს და პროკურორს. მათ თანამდებობა ბოროტად გამოიყენეს და ამიტომ მათზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას. მათ მე უნდა გამასამართლონ? სოდ-ის ხალხიც დასაჭერია. შემიძლია, მათი გვარები დავასახელო, მაგრამ არ მინდა. კოდუა და მისი ბანდა იყო ყველაფერი. კოდუამ რომ იყიდა ნახევარი თბილისი, მაგას ვერ ხედავს მთავრობა და, კიდევ რომ პარპაშებენ, ესაა გასაკვირი!**

**— ბატონო ბორის, გაყალბებული სისხლის სამართლის საქმით, ციხის კოშმარი საკუთარ თავზე იწვნიეთ. მანამდე, ომის საშინელებაც გამოიარეთ — სამხედრო პოლიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდით, 1993 წელს აფხაზეთი ერთ-ერთმა უკანასკნელმა დატოვა... დღევანდელი გადასახადიდან, როგორ გგონიათ, რა მოხდა აფხაზეთში — ღალატი, სამხედრო დილეტანტიზმი, მოწინააღმდეგის სიძლიერე თუ ყველაფერი ერთად?**

— მთავარი მიზეზი ღალატი იყო, თორემ ჩვენ ძალაც გვქონდა და ხალხიც გვყავდა. აფხაზეთიდან ყველა გამოვუშვი და ბოლოს გამოვედი. გზაში ჩექმა დამეხა და, ჩემს ოფიცრებს რომ არ დაენახათ, რაღაცით შევიხვიე და ფეხშიშველა, თითქმის ცალი ფეხით ვიარე... ეს, მით უმეტეს, ბოლო დღეები ღალატი იყო! იცით, როცა ხალხს, ჯარს დაამუშავებენ, ვითარების მართვა რთულია! ჯარში ზომები მივიღეთ, მაგრამ უკვე გვიანი იყო! სხვათა შორის, ბევრი ადამიანი მყავს დაპატიმრებული, რომელიც თავხედობდა, ყაჩაღობდა, ჩემი ჯარისკაცები არ დამინდია! სამხედრო ხარ და სადაც გაჭირვებაა, იქ პირველი ვაჟკაცი უნდა იყო, მაგრამ რას ვიზამთ.... საუბედუროდ, აფხაზეთი ღალატის ფასად დავკარგეთ. ეს იყო ღალატი, ღალატი და ღალატი!

**— მას შემდეგ, რაც საქართველოში ნაციონალური მოძრაობის მმართველობის ეპოქა დასრულდა, ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ საქმეზე — ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მიზეზებზე მტკიცებითი ხასიათის მოსაზრება გააჟღერეთ, თუმცა მოტივებზე არ გისაუბრიათ. იმის დამტკიცებას, რომ ზურაბ ჟვანია მოკლეს, მთავარი პროკურატურა თვეებია, ცდილობს... თქვენი ინფორმაციით, რატომ მოკლეს ჟვანია?**

— ზურაბ ჟვანია მართლა მოკლეს! ისინი, ვინც დღემდე პროკურატურაში მიშაობდა, მაგ საქმის გამხსნელები არ იყვნენ. პროკურორმა საქმე კი არ უნდა გახსნას, საქმეს უნდა უხელმძღვანელოს და კანონს იცავდეს! ვინ იყო კანონის დამცველი იმ პროკურატურაში, რომელსაც კბილაშვილი ხელმძღვანელობდა? კბილაშვილი რა პროკურორია, ადვოკატი არ იყო ისეთი, როგორიც წესი და რიგია. უნდა რცხვენოდეთ მაგათ, რომელი საქმე მიიყვანეს ბოლომდე? — არც ერთი! შემიძლია, ჩამოგითვალოთ, ვინ არიან ნამდვილი პროკურორები და ვინ გახსნიდა საქმეს! მოტივი, რატომ უნდა მოეკლათ ჟვანია, ის იყო, რომ ჭკვიანი, შემტევი გახლდათ და სააკაშვილისთვის საფრთხეს წარმოადგენდა. თუ სააკაშვილს ჭკუა აქვს, თავისი გუნდით სამართალდამცავებს უნდა ჩაბარდეს!

**— საქართველოს ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი გაცხადებული პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობის დათბობა-დალაგებაა. ეს როგორ წარმოგიდგენიათ და ამ პროცესში რამე ფორმით თუ ჩაერთვებით?**

— ჯერ ერთი, პატარა კაცი ვარ და ჩემნაირი გენერალი რუსეთში ძალიან ბევრია; მეორეც — სიამაყით ვამბობ, რომ თბილისელი, საქართველოს შვილი ვარ და ჩემი მხრიდან არც ერთ გავლენიან წრეში, საქართველოს სირცხვილი არ უჭამია! ყოველთვის ვცდილობ, ავწიო ჩემი ქვეყნის ავტორიტეტი. ვფიქრობ, ახალი ხელისუფლება მიაღწევს რუსეთთან შეთანხმებას. თუ გვინდა, საქართველო აყვავდეს, ეს რუსეთის მხრიდან უნდა მოხდეს. აგერ, სომხებით გაივსო მთელი რუსეთი. ჭკვიანები არიან სომხები, იყენებენ! აშშ არ დაგეხმარება ისე, თუ შენი პატრონი არ გახდა, თან ბოლომდე არ გიპატრონებს. რუსი ასეთი არ არის, რუსმა იცის მეგობრობა...

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ
ГРУЗИЯ



## პროკურატურა: „ალექსანდრე ნინუას მოწმის სახით დაკითხვა FBI-მ მოითხოვა“

ალექსანდრე ნინუას მოწმის სახით დაკითხვა აშშ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (FBI) მოითხოვა. ამის შესახებ ნათქვამია მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს პროკურატურა დამატებით ინფორმაციას ავრცელებს ალექსანდრე ნინუას განცხადებასთან დაკავშირებით.

**„პროკურატურა ასაჯაროებს ფაქტს, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2012 წლის 19 ოქტომბერს და 2013 წლის 2 ივლისს შემოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმეზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ.**

**როგორც შუამდგომლობებიდან გახდა ცნობილი, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის და გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ წარმოებდა გამოძიება. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) მიერ მოთხოვნილ იქნა საქართველოს ტერიტორიაზე გარკვეული საპროცესო მოქმედებების ჩატარება, რომელიც მოიცავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, ალექსანდრე ნინუას მოწმის სახით დაკითხვას.**

**საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ შესრულებულ იქნა გამოძიების ფედერალური ბიუროს ზემოაღნიშნული თხოვნა, კერძოდ, ჩატარდა მოთხოვნილი საპროცესო მოქმედებები და მათ შორის, 2013 წლის 30 ივლისს მოწმის სახით დაიკითხა ალექსანდრე ნინუა. დაკითხვას ქართულ მხარესთან ერთად ესწრებოდა გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენელი.**

**პროკურატურა განმარტავს, რომ პროკურატურის მხრიდან ალექსანდრე ნინუას უფლებების შეზღუდვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია და მას გააჩნდა თავისუფლად გადაადგილების უფლება. 2013 წლის განმავლობაში არაერთხელ დაფიქსირდა ა. ნინუას მიერ საზღვრის გადაკვეთის ფაქტი, კერძოდ, მან ხუთჯერ დატოვა საქართველოს ტერიტორია. პროკურატურა ასევე კატეგორიულად უარყოფს ალექსანდრე ნინუაზე ზეწოლის ნებისმიერ ფაქტს. საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობისას ა. ნინუას დეტალურად განემარტა მისი უფლებები და მოვალეობები, რაც დასტურდება მისივე ხელმოწერით.**

**როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ალექსანდრე ნინუა პროკურატურის მიერ ორჯერ იქნა გამოძახებული: იგი მოწმის სახით დაიკითხა 2013 წლის 26 სექტემბერსა და 19 ოქტომბერს სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით. აღნიშნული საქმე ეხება თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის დიდი ოდენობით თანხების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების ფაქტს. ამ საქმეზე გამოძიება დაიწყო 2012 წლის 1 აგვისტოს“,** — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

*„ინტერპრესნიუსი“*



## დავით დარახველიძე: „ბაბუშერას სამარხის გახსნაზე შეთანხმება მიღწეულია“

მიღწეულია შეთანხმება ბაბუშერას სამარხის, გუმისთაზე ერთ-ერთი სამარხის გახსნის, ასევე ცხედრების გადმოსვენებისა და მათი იდენტიფიცირების თაობაზე. სამარხების გახსნა მომავალი წლის პირველ ნახევარში იგეგმება, — ამის თაობაზე ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა დავით დარახველიძემ აცნობა.

ქართული მხრიდან, ორმხრივი მექანიზმების პროცესს დავით დარახველიძე ხელმძღვანელობს, ხოლო საექსპერტო ჯგუფს ხელმძღვანელობს მისი მოადგილე ნინო ჭავჭავაძე. რაც შეეხება აფხაზურ მხარეს, აფხაზური მხრიდან საქმეში ჩართულია დე ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრემიერი ინდირა ვარდანია.

ამასთან, როგორც მინისტრმა აღნიშნა, ეს ყველაფერი წითელი ჯვრის ეგიდით და მხარდაჭერით განხორციელდება.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, სოხუმში, დიდების პარკში აღმოჩენილ სამარხებში, შესაძლოა, ქართველების ცხედრები იყოს.

*„ინტერპრესნიუსი“*

# არცოდნა — არცოდვა თუ ცოდვა?!



რატომ ეკრძალება მართლმადიდებელ ქრისტიანს ხანუქობის დღესასწაულზე სანთლის დანთება და სინამდვილეში, რას ზეიმობენ ხანუქობას ებრაელები

ლაშა ცაიშვილი

**მართალია, ქართველებს მრავალი ღირსება და კარგი თვისება გვაქვს, მაგრამ ნაკლოვანებების ნაკლებობასაც არ განვიცდით, აქედან ერთ-ერთი უმთავრესი კი ზომიერების დაცვაა. რა თქმა უნდა, ზოგადად გულუხვობა ძალზე კარგი რამაა, თუმცა მსგავს შემთხვევებშიც ოქროს შუალედის პოვნა აუცილებელია, რათა რომის პაპზე მეტ კათოლიკედ ყოფნის სურვილი არ გაგვიჩნდეს. სამწუხაროდ, მსგავსი ,,გულუხვობა“ და ზომაგადასულობა ხშირად ვლინდება რელიგიასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაშიც; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ურთიერთს რელიგია და პოლიტიკა კვეთს.**

მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა გახდა დამოუკიდებელი, ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, მისი მმართველობის პოლიტიკისა და დიპლომატიის ფორმა და არეალი შეიცვალა, რაც სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ეკლესიისა და სხვადასხვა კონფესიათა ურთიერთობის რეგულირებასაც მოიცავს. სწორედ ასეთ დროს იჩენს ხოლმე თავს რელიგიური განათლების პრობლემა. მსგავს ვითარებაში კი დასანანია, რომ სხვათა შეცდომებზე ანუ წინა ხელისუფლების ნეგატიურ მაგალითებზეც არ ხდება შეცდომების გაანალიზება და მომავალი ურთიერთობების სწორად წარმართვა.

უახლოეს წარსულში ჩვენი ქვეყნის ყოფილი პირველი პირის მხრიდან პატრიარქის ტახტზე დაჯდომის მცდელობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მრავლად ყოფილა შემთხვევები, როდესაც სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლებთან ჩინოვნიკთა ურთიერთობა რელიგიური რიტუალების გარკვეულ ჩართულობაში გადაზრდილა, რაც კონკრეტული ხელისუფალის მხრიდან (მართლმადიდებლური რწმენის ქონის შემთხვევაში) დიდ ცოდვად, ეკუმენიზმად ანუ ერესთა ერესად მიიჩნევა. მართალია, ანალოგიურ ცდომილებებს წლების წინ ეკლესიის წარმომადგენელთა მხრიდანაც ჰქონია ადგილი, მაგრამ მათი მოქმედება საჯაროდ მონანიების საგანი გახდა, რასაც სამწუხაროდ, ხელისუფლების წარმომადგენელთა მისამართით ჯერჯერობით ვერ ვიტყვით. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ხელისუფლების პირველ პირებს მონოფიზიტების ანუ „გრიგორიანელებისთვის“ მართლმადიდებლები უწოდებიათ; კათოლიკების შობა საჯარო და ლამის ეროვნულ დღესასწაულად გამოუცხადებიათ; ქართული ჯარი, ავღანეთში სამშვიდობო მისიით წასვლის წინ, მუსლიმი მუფტისთვის დაულოცვინებიათ; ებრაელთა ხანუქობის დღესასწაულზე მენორას სანთლები დაუნთიათ და ა.შ.

ამ ჩამონათვალით რომელიმე კონფესიის შეურაცხყოფა არ გვქონია განზრახული; უფრო მეტიც, საზოგადოების ნებისმიერი ფენის მხრიდან, უდავოდ, მისასალმებელია ყველა აღმსარებლობის წარმომადგენელთან მეგობრული ურთიერთობა, თუმცა ყოველივე ეს უნდა ხორციელდებოდეს შესაბამის საზღვრებში და არ უნდა გადადიოდეს მისტიკურ-რელიგიურ ასპექტში.

ზემოთ მოხმობილი ჩამონათვალიდან განსაკუთრებით შევეხებით ხანუქობის დღესასწაულს, რომელიც წელს საქართველოში არატრადიციული ფორმით გაიმართა. კერძოდ, თბილისში თავისუფლების მოედანზე, ე.წ. ძველი მერიის წინ განთავსდა სინაგოგიდან გამოტანილი მენორას ხანუქიალური სანთლები და მილოცვა, რომლითაც ებრაელები საზოგადოებას ულოცავდნენ თავიანთ დღესასწაულს. ეს დღესასწაული დეკემბრის პირველ ნახევარში იწყება და რვა დღე გრძელდება, თუმცა ცნობილია, რომ მისი საზოგადოებრივ ადგილებში გამართვა და აღნიშვნა თვით იუდეურ კანონებს ეწინააღმდეგება, რომლის თანახმადაც, ხანუქის სანთლების დანთება მხოლოდ იუდეველთა სახლებსა და სინაგოგებში შეიძლება.

ბოლო დროს ანალოგიურ დარღვევებს ადგილი სხვა ქვეყნებშიც ჰქონდა და, ამდენად, ყოველივე ეს იწვევს სამართლიან ეჭვს, ზოგიერთი ქვეყნის იუდაურ თემებში თავს ხომ არ იჩენს აგრესიული ტენდენციები, რომელთა მიზანიც ქრისტიანული საზოგადოების გაღიზიანებაა? ისტორიულად, ეს დღესასწაული მაკაბელთა გამარჯვებას უკავშირდება, რომელიც საიტ http://zneoba.ge/?p=700-ზე განთავსებული მასალის თანახმად: **„დროთა განმავლობაში, მოსეს სჯულის თალმუდისტურ-თორასეული სწავლებით ჩანაცვლების კვალობაზე, ებრაელთა ნაციონალურ დღესასწაულად ჩამოყალიბდა, რომელიც სიმბოლურად, ებრაელთა არაებრაელებზე გამარჯვებას აღნიშნავს. მისი მთავარი ატრიბუტი – მენორა ანუ ცხრატოტა შანდალი ბიბლიური შვიდტოტას განაციონალურების გზით ტრანსფორმირების შედეგს წარმოადგენს. როგორც ებრაელთა სხვა დიდი დღესასწაულები, ხანუქის დღესასწაულიც თალმუდისტური თეოლოგიის, თორასეული სწავლების თვალსაზრისით, აღნიშნავს ებრაელთა მომავალ გამარჯვებას, რომელიც მესიის მოსვლას უკავშირდება. ამდენად, ხანუქი, რელიგიურ-მისტიური თვალსაზრისით, მომავალი მესიის მოლოდინს უკავშირდება და, აქედან გამომდინარე, წარმოადგენს ანტიქრისტიანულ დღესასწაულს. ქრისტიანული სწავლებით, მესია და მხსნელი არის ქრისტე, ხოლო მომავალი მესია – ანტიქრისტე“.**

რა თქმა უნდა, ებრაელებს არავინ უშლის, თავიანთი დღესასწაული აღნიშნონ და იზეიმონ სინაგოგებსა თუ სახლებში, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს იმ საზოგადოების წინაშე, რომლის 80% ქრისტიანული აღმსარებლობისაა, მით უმეტეს, ხანუქობის მილოცვა მათთვის ძალზე შეურაცხმყოფელი და უფლებაშემლახველია. ერთი ადამიანის უფლება კი იქ სრულდება, სადაც მეორის იწყება. ამდენად, ებრაელთა რელიგიური ლიდერები საჯაროდ არ აცხადებენ რა ხანუქის დღესასწაულის რელიგიურ არსსა და მისტიურ სიმბოლიკას, უფრო მეტიც, მას ოჯახის დღესასწაულს არქმევენ, ალბათ ამიტომაც, ჩვენი ქვეყნის ქრისტიანული მრწამსის მქონე მოქალაქეები, საზოგადოებისა თუ ხელისუფლების შტოდან ბევრჯერ, ამა თუ იმ სახით, მსგავსი რიტუალების მონაწილენი გამხდარან. კომუნისტური წყობის დროს ქრისტიანები „მაცას“ მადიანად რომ მივირთმევდით, ცოდვა იყო, მაგრამ ათეისტური პერიოდის გამო გარკვეულ შემამსუბუქებელ გარემოებაში ვიმყოფებოდით. ახლა კი, როდესაც რელიგიური ინფორმაცია და ლიტერატურა ხელმისაწვდომია, სხვაგვარად ვაგებთ პასუხს ჩვენს ყველა მოქმედებაზე.

აი, რას გვასწავლის აქ განხილულ საკითხებზე მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი სამართლის წიგნი — დიდი სჯულის კანონი:

**კანონი №65**

**თუ რომელიმე კლირიკოსი ან ერისკაცი, იუდეველების ან მწვალებლების სინაგოგაში სალოცავად შევა, სამღვდელო წოდებიდან განიკვეთოს და უზიარებლობით დაისაჯოს.**

**კანონი №70**

**ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი ან საერთოდ ვინმე კლირის წევრთაგანი, რომელიც იუდეველებთან ერთად იმარხულებს, ან მათთან ერთად იდღესასწაულებს, ანდა მათგან მათი დღესასწაულის აღმნიშვნელ რაიმე ძღვენს მიიღებს (როგორიცაა უცომო, ან სხვა რაიმე მისი მსგავსი), განკვეთილ იქნეს; ხოლო თუ ერისკაცი ჩაიდენს ასეთივე ქმედებას, უზიარებლობით დაისაჯოს.**

*დასასრული მე-9 გვერდზე*

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

# თბილისის შემოერთებულ სოფელში გზა და სასმელი წყალი არ აქვთ

**თბილისის შემოერთებული სოფელი აგარაკი, ქალაქის ცენტრალური ნაწილიდან დასავლეთით 8 კილომეტრში, ლისის ტბის მიდამოებში, ზღვის დონიდან 780 მეტრზე მდებარეობს. 2007 წლამდე ექვემდებარებოდა მცხეთის მუნიციპალიტეტის ლისის თემს, ახლა ვაკის რაიონს ეკუთვნის. 2002 წლის აღწერით დასახლებაში 141 ადამიანი ცხოვრობდა. სოფლის მცხოვრებლებს ყველაზე მეტად საკანალიზაციო სისტემის მოუწესრიგებლობა, უგზოობა და სკოლის არარსებობა აწუხებთ. ბუნებრივი აირის შეყვანა ახლახან საკუთარი ძალებით მოახერხეს. დასახლების მწვავე პრობლემებზე სასაუბროდ, 73 წლის ადგილობრივი, რობერტ ნავერიანი დაგვიკავშირდა.**

— თბილისიდან კილომეტრნახევრით დაშორებულ სოფელში, არსებობისთვის აუცილებელი წყალი და გზა არ გვაქვს, ჩამოდით და ამაში თავად დარწმუნდებით. დასახლებაში ერთადერთი წყაროა, სადაც 10 ლიტრის შევსებას ერთი საათი სჭირდება, იქაც საშინელი რიგია, ჯობია არ გაჩერდე. თუ არადა, სასმელი წყალი ქალაქიდან ჩამოგვაქვს.

— **რატომ არ აქვს სოფელს წყალი?**

— ჩვენთან წყალგაყვანილობის სისტემა საერთოდ არ არსებობს. ადრე სოფლის სტატუსი გვქონდა და ამაზე არავის უზრუნია, ქალაქელები გავხდით და მაინც არავინ ფიქრობს პრობლემის მოგვარებაზე. ასეთ ვითრებაში, კანალიზაციის სისტემის არსებობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

— **რა ხდება გზასთან დაკავშირებით?**

— გზა ხმამაღალი ნათქვამია, წვიმის ან თოვლის დროს აქ გავლა შეუძლებელი ხდება, მსუბუქი მანქანით ველარ გაივლი, მხოლოდ ჯიპით... აქ ასფალტი არასოდეს დაგებულა. გაზი დასახლებაში მხოლოდ ახლა გამოვიყვანეთ, ისიც მოსახლეობის დიდი ჯახირითა და რასაც ჰქვია, ჩაწყობით. კიდევ კარგი, ეს მაინც მოვახერხეთ, თორემ ყინვაში სრულიად დაუცველები ვიყავით. გაზისა და დენის გარდა, სხვა არანაირი პირობები არ გვაქვს ნორმალური ცხოვრებისთვის.

— **თბილისთან შემოერთების შემდეგაც არაფერი დაეტყო დასახლებას?**

— გეფიცებით, ისევე უყურადღებოდ ვართ მიტოვებულები, როგორც ადრე. ერთადერთი, ყოველი არჩევნების წინა პერიოდში ვახსენდებით ხელისუფლებასა და პოლიტიკურ ძალებს. კენჭისყრამდე ერთი კვირით ადრე ჩამოვლენ ხოლმე და სოფელში სულ შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე ისმის სადღეგრძელოებივით... გვგონია, რომ ავშენდით და ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პრობლემებსაც ეშველება, მაგრამ მთავრდება არჩევნები და ყველას ვავიწყდებით, აქეთ გამომხედავი აღარავინაა. ყოველთვის ერთი და იგივე მეორდება და სოფელს სასმელი წყალი ისევ არ აქვს.

— **რაიმე საპროტესტო გამოსვლა თუ გქონიათ სოციალური მოთხოვნებით?**

— რა აზრი აქვს? დედაქალაქიდან კილომეტრნახევარში კი ვართ, მაგრამ ისეთ ადგილზე, რომ ყურადღებას მაინც არავინ მოგვაქცევს. ან აქ გზის გადაკეტვას რა შედეგი ექნება, ამიტომ აქციებსაც ვერ ვატარებთ. 15 წლის წინ არც ერთი ქართველი არ ცხოვრობდა, ახლა 50-50-ზე ვართ, ამ დასახლებაში ჩვენი ცხოვრება არ გაუხარდათ თუ რა არის?

— **გამგეობიდან მაინც არ გეხმაურებიან?**

— კაციშვილი არ მოდის. გავიგეთ, რომ ჩვენს წყალზე ლაპარაკი დაიწყეს, პროექტიც უნდა გაკეთებულიყო, თბილწყალკანალსა და ვაკის გამგეობას შორის ამ საკითხზე დავა მიმდინარეობს, ვერაფრით შეთანხმდნენ. ერთი მხარე ამბობს, რომ პროექტის ღირებულება მილიონნახევარს შეადგენს, მეორე სამმილიონნახევარს ითხოვს და თანხების სიმცირის გამო ვერ შეთანხმდნენ, ამ დავაში კი წელიწადი გავიდა, გაისად ბიუჯეტში გაითვალისწინებენ თუ არა, ესეც არ ვიცით. მთავრობამ თუ არ აიღო პასუხისმგებლობა, ვეჭვობთ, არაფერი გამოვა. წყლისა და გზის პრობლემა თუ არ მოგვარდა, არაფერი გვეშველება. სხვა აქ არაფერი ხდება, ისედაც სრულიად მოწყვეტილები ვართ გარესამყაროს. პირველყოფილი თემური წყობილებაა, აბა, რა არის?

უმუშევრობის პრობლემაა, როგორც ყველგან. ახალგაზრდობა თავისთვის ცდილობს, როგორმე კერძო საქმეზე დაკავდეს, მშენებლობა იქნება, რემონტი თუ რაიმე ამდაგვარი. ბევრი უკვე სახლს ყიდის, აუტანელი პირობების გამო. ზამთარია და შეშის მოჭრის ნებართვას არ გვაძლევენ — ქალაქელები გახდით და შეშა რად გინდათო. ასეთ პირობებში, 70-80 ლარი ღირს ერთი კუბმეტრი შეშა, სეზონზე 7-8 კუბმეტრი მაინც გჭირდება. ვის აღარ მივმართეთ ჩვენი მოთხოვნით, ქალაქი მერიას, რაიონის გამგეობას, მაჟორიტარ დეპუტატს, შედეგი ვერ მივიღეთ. აგარაკის მოსახლეობა მივმართავთ ახალ მთავრობას, რომ მოგვხედოს, ასე ცხოვრება უბრალოდ შეუძლებელია. ბევრს ხომ არ ვითხოვთ, წყალი მოგვცენ და გზა გაგვიყვანონ. თბილისს ისეთი მერი უნდა ჰყავდეს, რომელიც ქალაქის ბიუჯეტს ყველა რაიონზე თანაბრად გადაანაწილებს, რათა ცენტრალურ უბნებსა და დედაქალაქის შემადგენლობაში შემავალი სოფლების მაცხოვრებლებს ერთნაირ პირობებში ცხოვრების საშუალება მიეცეთ.



# არცოდნა — არცოდვა თუ ცოდვა?!

*მე-8 გვერდიდან*

**კანონი №71**

**ქრისტიანი, რომელიც ზეთს მიიტანს წარმართულ ტაძარში ან იუდეველთა სინაგოგაში მათი დღესასწაულის დროს, ან იქ სანთელს აანთებს, ეკლესიიდან მოიკვეთოს (წმინდა მოციქულთა 85 კანონი).**

მსგავსი ვითარების მიმართ, როგორც ვხედავთ, საეკლესიო კანონიკა საკმაოდ მკაცრი განაწესებით გამოირჩევა და ამდენად, პასუხისმგებლობა ხელისუფლების პირველ პირებთან მიმართებაში ორკეცდება, რადგან პირველი ხელისუფალის ცოდვა ხშირად ერზეც აისახება ხოლმე. აზრის ნათელსაყოფად შეიძლება, ბიბლიიდან გავიხსენოთ სოლომონ ბრძენის მეფობის ხანა: როდესაც სოლომონმა ჩაიდინა ეკუმენისტური ცოდვა ანუ რელიგიები და რიტუალები ერთმანეთში აღრია, ღვთის რისხვა დაიმსახურა და მისი სახელმწიფო ორად გაიყო.

ოპონენტებს მსგავსი თემების განხილვის დროს ვერც დავით აღმაშენებლის პერსონის მოხმობა წაადგებათ, რადგან დავითი მტკიცე მართლმადიდებელი იყო და მეჩეთში ფეხშიშველი შესვლა იმას არ ნიშნავდა, რომ სხვა აღმსარებლობებთან რიტუალურ თანალოცვაში იმყოფებოდა. უფრო მეტიც, იგი დიდი წარმატებით ერთვებოდა თეოლოგიურ დისკუსიებში, ხშირად მართლმადიდებელ სასულიერო იერარქებსაც აღემატებოდა ჭეშმარიტი სარწმუნოების დაცვაში და მრავალგზის დაუმარცხებია კამათში სხვა რჯულის მქონენი. დავითის ეპოქის სიძლიერეს სწორედ მეფისა და ერის მართლმადიდებელ სარწმუნოებაში მტკიცედ დგომა განსაზღვრავდა, რელიგიათა ურთიერთპატივისცემას კი — ერთმანეთის სულიერი საზღვრების შეუხებლობა. მაშინ ეკუმენისტურ რელიგიათა აღრევას ადგილი არ ჰქონია, როგორც ამის წარმოდგენას ისტორიის გამყალბებლები დღეს ცდილობენ.

რადგან ისტორიას შევეხეთ, იმასაც დავძენთ, რომ საქართველო მსოფლიოში, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არასოდეს ყოფილა ანტისემიტიზმი და, რა თქმა უნდა, არც არასოდეს იქნება. უბრალოდ, მრავალსაუკუნოვანი ებრაულ-ქართული მეგობრობიდან გამომდინარე, ბევრ კითხვისნიშანს ტოვებს წლევანდელი ხანუქობის აღნიშვნის ახალი ფორმა, რის შესახებაც საიტ — http://zneoba.ge/?p=700-ზე მართებულადაა აღნიშნული:

**„წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუკი აღდგომის დღესასწაულზე ქრისტიანები, ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში, აღმართავენ თელ-ავივის ცენტრში დიდ ჯვარს და ებრაელ ხალხს მიმართავენ ქრისტეს აღდგომის მილოცვით. დაუშვებს ამას ისრაელის ხელისუფლება, მიუხედავად იმისა, რომ აღდგომას მათ ქვეყანასა და მთავარ ქალაქში, იერუსალიმში მთელი მსოფლიოს წარმომადგენლობა იკრიბება?“**

მართალია, აღდგომის დღესასწაულზე მართლმადიდებელი არაბები საკრავების ფონზე ხმამაღლა გაიძახიან, ჩვენი რწმენა მართალიაო, მაგრამ ეს მხოლოდ ტაძრის ტერიტორიასა და მის შემოგარენში ხდება და არა დედაქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე, უშუალოდ, ებრაელი მოსახლეობის მისამართით, რასაც სამწუხაროდ, ებრაელ იუდეველებზე ვერ ვიტყვით. ცნობილია, რომ იერუსალიმში ქართველთა ჯვრის მონასტრის კედლებზე ორჯერ იქნა გაკეთებული ქრისტესა და ღვთისმშობლის შეურაცხმყოფელი წარწერები. გასული წლის 12 დეკემბერს დაწერეს: „იეშუ ბენ-ზონა“ (იესო — მეძავის შვილი), „მაკაბელებმა გაიმარჯვეს“, „გილოცავთ ხანუქას“, „ტაგ მეხირ“ და ა.შ. აღნიშნული შემთხვევა მემარჯვენე ნაციონალურ ფრთას დაბრალდა, რისი გამოძიებაც დაიწყო, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია. გამოუძიებელი დარჩა მეორე ანალოგიური ფაქტიც, რომელსაც იმავე წელს, თებერვალში ჰქონდა ადგილი. მსგავს დამოკიდებულებას, ალბათ, სხვა ერებთან შედარებით, ყველაზე მეტად ქართველები არ ვიმსახურებთ. ამდენად, იმედი გვაქვს, რომ დამნაშავეები აუცილებლად გამოვლინდებიან და შესაფერის პასუხს აგებენ. ამასთან, საინტერესოა, ე.წ. ლიბერალთა მიერ რატომ არ მოხდა რეაგირება ისრაელის სეფადის ყოფილი მთავარი რაბინის, ამჟამინდელი შასის პარტიის ლიდერის უკიდურესად ქსენოფობიურ განცხადებებზე: „გოები ანუ არაიუდეველები ღმერთმა იმიტომ შექმნა, რომ მოემსახურონ ებრაელებს შაბათ დღეს. ეს ერთადერთი მიზეზია, რის გამოც ღმერთმა დაუშვა მათი ამქვეყანაზე გაჩენა. გოების ადგილი არ არის ამ მსოფლიოში, თუკი ისინი არ მოემსახურებიან ებრაელებს“. მსგავსი სახის განცხადება რომელიმე მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქს არაქრისტიანებთან დაკავშირებით რომ გაეკეთებინა, მთელი მსოფლიოს „დემოკრატიული“ ძალები, ალბათ, ძალმოსილებით შეიძრებოდნენ. რაც შეეხება ტერმინ „გოის“, ის არაიუდეველს ნიშნავს. ეს გამოთქმა ჩვენს ლექსიკაში სხვაგვარად ტრანსფორმირდა და სიტყვა „გოიმის“ სახით ჩამოყალიბდა, იგი თავისი მნიშვნელობით შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი შინაარსისაა. ამდენად, ტერმინ გოის გამოყენება, როგორც გოიმი, მასში რაც უნდა ჩვენებური შინაარსი გვქონდეს ჩადებული, დაუშვებელია, რადგან, არაპირდაპირად ყველა არაიუდეველის გმობა და იუდეველთა განდიდება გამოდის, ამ უკანასკნელთა რელიგიური ნიშნით დიდება კი თავად იუდეველობის დიდებას ნიშნავს, რაც ქრისტიანისთვის ყოვლად დაუშვებელია.

გარდა ამისა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ზოგადი რელიგიური განათლების არქონის გამო, ჩვენი სახელისუფლებო დიპლომატთა რგოლები უხერხულ და კომიკურ ვითარებაში აღმოჩენილან არაქრისტიანული ქვეყნების დელეგაციებთან შეხვედრის დროს: რამდენიმე წლის წინ, საქართველოში იაპონელ დიპლომატთა დელეგაცია იმყოფებოდა. მათი რელიგიური რწმენა-წარმოდგენებით, დრაკონი წმინდა ცხოველად ითვლება. მასპინძელმა ქართველმა დიპლომატებმა კი საპატიო სტუმრებს საჩუქრად გადასცეს ხატი წმინდა გიორგის გამოსახულებით, რომელიც დრაკონს კლავს.

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია ზოგადი რელიგიური განათლების ქონა, განსაკუთრებით იმ პროფესიის ადამიანებისთვის, ვისაც შეხება აქვთ პოლიტიკასთან, დიპლომატიასა თუ საერთაშორისო ურთიერთობებთან. ამასთან, როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, უმთავრესია, ოქროს შუალედის პოვნა, რათა რელიგიურ სფეროსთან შეხების დროს არც საკუთარი და არც სხვისი რწმენის ხელყოფა არ მოხდეს. ზომაზე მეტ ლიბერალიზმსა და ქართულ ამპარტავნებას, სინთეზში, იმგვარი პროვინციალიზმისკენ მივყავართ, რომ მზად ვართ, ყველანაირ საშუალებას მივმართოთ, ოღონდ ჩვენი „დემოკრატიულობა“ დავამტკიცოთ. ყოველივე ეს კი სულიერ ქაოსს შობს... განა, რომელიმე იუდეველი მინისტრი ან რაბინი, რაც უნდა კეთილშობილური მისიით გვესტუმროს, ან თავისთან გვისტუმროს, ამის დასამტკიცებლად, ქრისტიანულ ტაძარში შევა და სანთელს დაანთებს, ქრისტიანულ დღესასწაულს მოგვილოცავს, ან რომელიმე სხვა აღმსარებლობის სასულიერო პირს თავის ჯარს დაალოცვინებს? რა თქმა უნდა — არა და ვერავინ დასდებს ბრალს არატოლერანტულობაში, რადგან ბევრგან დემოკრატიის ჭეშმარიტი არსიც კარგად ესმით და რელიგიისაც. სამწუხაროდ, ჩვენთან ყველაფერი პირუკუ ინერგება დემონოკრატების ძალისხმევით. სავალალოა, რომ ამ ძალას საქართველოში „დემოკრატიულ-ლიბერალური“ აზრის ფორმირების მონოპოლია აქვს და უახლოეს მომავალში არც იმის პერსპექტივა ჩანს, რომ მსგავს მარაზმს ბოლო მოეღება.

## სამართალდამცავებმა ძველი თბილისის რაიონის ყოფილი გამგებელი და მისი მოადგილე დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, ძველი თბილისის რაიონის ყოფილი გამგებელი ლაშა ფურცხვანიძე და მისი ყოფილი მოადგილე კობა ხარშილაძე დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ძველი თბილისის რაიონის გამგებელმა ლაშა ფურცხვანიძემ და მისმა მოადგილე კობა ხარშილაძემ 2007 წლის 1 მაისს, ნაცნობების: მარინა მურცხვალაძის, მამუკა მურვანიძის, გელა ქავთარაძის და კობა ყორღანაშვილის მეშვეობით დააფუძნეს შპს „გრინსერვისი“, რომლის ფაქტობრივი მფლობელები და ხელმძღვანელებიც, მისი დაფუძნების დღიდან იყვნენ თვითონ. ძველი თბილისის გამგეობის სატენდერო კომისიის წევრები ფურცხვანიძე და ხარშილაძე ტენდერს აცხადებდნენ სწორედ მათი დავალებითა და მათ მიერვე შედგენილი ხარჯთაღრიცხვებით, შპს „გრინსერვისი„ ინტერესთა კონფლიქტის ვითარებაში მონაწილეობას იღებდა და იმარჯვებდა ძველი თბილისის გამგეობის მიერ გამწვანებით სამუშაოებზე გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში, რომელიც ცხადდებოდა უშუალოდ იმ ოდენობისა და სახეობის ხე-მცენარეებზე, რომელიც წინასწარ შეძენილი ჰქონდა კომპანიას.

**„2010 წლის 16 ნოემბერს საზოგადოების რეალურმა დამფუძნებლებმა შეცვალეს საწარმოს ფიქტიური დამფუძნებლები და თანაბრად გაიყვეს ფირმის 100 %-იანი წილი, მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტისათვის საწარმოს კაპიტალი შეადგენდა 1 381 487 ლარს, წილებზე საკუთრების მოპოვების კანონიერად წარმოჩენისათვის შეადგინეს წილის ნასყიდობის ხელშეკრულებები 100% წილის 400 ლარად შესყიდვის თაობაზე.**

**წილების ოფიცილურად გადაფორმების შემდეგ, 2011 წლის 10 თებერვალს, იმავე წლის 1 ნოემბერს და 2012 წლის 25 იანვარს ლაშა ფურცხვანაძემ და კობა ხარშილაძემ სამ ეტაპად განახორციელეს შპს „გრინსერვისის“ მეშვეობით უკანონოდ მიღებული შემოსავლებისთვის კანონიერი სახის მიცემა 1 927 237 ლარის დივიდენდად გატანის გზით. მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და 337-ე მუხლით, რაც თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით ითვალისწინებს“,** — ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის ოფიციალურ ინფორმაციაში. ამასთან, როგორც ცნობილია, კობა ხარშილაძე თავის დროზე პრემიერ ზურაბ ჟვანიას დაცვის უფროსი იყო.

***„ინტერპრესნიუსი“***



# ჰოროსკოპი
## 18 დეკემბერი

**ვერძი** — დღე მშვიდი და საკმაოდ პროდუქტიული იქნება, თუ თავს აიძულებთ, დაწყებული საქმე დაასრულოთ. მართალია, ყოველდღიური რუტინა მოსაბეზრებელია, მაგრამ აჯობებს, ჯერ მნიშვნელოვან ცვლილებებზე არ იფიქროთ.

**კურო** — შეგრძნება გტანჯავთ, რომ შეცდომა დაუშვით და დრო დაკარგეთ. ნუ დაიტანჯავთ თავს ამგვარი აზრებით — მართალია, სასურველი შედეგი აყოვნებს, მაგრამ წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

**ტყუპები** — რომც ფიქრობდეთ, რომ სამუშაოს კეთება და სიამოვნების მიღება ერთად შეუძლებელია, ეს დღე საპირისპიროში დაგარწმუნებთ. მთავარია, არსებული წინააღმდეგობის წინაშე არაფრით დაიხიოთ უკან.

**კირჩხიბი** — მიხვდებით, რომ თქვენს ირგვლივ ყველა კეთილგანწყობილი არ არის და თქვენი წარმატებებიც შურის საფუძველი ხდება. ეცადეთ, ნაკლები ყურადღება მიაქციოთ ამ უსიამოვნო ფაქტს.

**ლომი** — დიდია ალბათობა, თქვენი გარემოცვიდან ყველაზე უინტერესო და მატყუარა ადამიანის მსხვერპლი გახდეთ. ამიტომ ნუ მიიღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას და ყოველი ნაბიჯი კარგად აწონ-დაწონეთ.

**ქალწული** — ცდილობთ, მოვლენების მკვეთრი ფორსირება მოახდინოთ, მარგამ ეს მხოლოდ თქვენ დაგაზარალებთ, რადგან უფრო მეტი წინააღმდეგობა შეგხვდებათ. ამიტომ ზომიერება დაიცავით.

**სასწორი** — არ ღირს იმაზე ფიქრი და დროის კარგვა, რომ ვიღაცას თქვენზე მეტად გაუმართლა. ერთი ადამიანისგან მეტად ხელსაყრელ წინადადებას მიიღებთ. სისულელე იქნება უარის თქმა მხოლოდ იმიტომ, რომ სიამაყე ამის უფლებას არ გაძლევთ.

**ღრიანკალი** — ილაპარაკო, რასაც ფიქრობ და იფიქრო, რასაც ლაპარაკობ — სულაც არ არის ერთი და იგივე. გააანალიზეთ, რა გსურთ ცხოვრებაში და მხოლოდ ამის შემდეგ გადადგით ქმედითი ნაბიჯები.

**მშვილდოსანი** — მშვილდოსნებს მოუწევთ, გარშემომყოფებს გასაგებ ენაზე აუხსნან საკმაოდ რთული და მათთვის გაუგებარი დეტალები. თუკი ერთი ადამიანი მაინც გაიგებს — შეგიძლიათ თავი გმირად ჩათვალოთ.

**თხის რქა** — დააკვირდით გარშემომყოფთა ნალაპარაკევს. დიდია ალბათობა, რომ ერთ-ერთი მათგანი, ისე, რომ თავადაც ვერ მიხვდება, ტკივილს მოგაყენებთ, თუმცა თქვენი სიმშვიდის წყალობით, ამ წინააღმდეგობას ადვილად დაძლევთ.

**მერწყული** — რაც უნდა მოინდომოთ, დღეს ბოლომდე ვერ დაიხარჯებით — ყოველთვის რაღაც შეგიშლით ხელს. თუ „წარმოდგენის“ ეფექტურობაში ხართ დაინტერესებული, მაშინ ის, სჯობს, სხვა დროისთვის გადადოთ.

**თევზები** — დიდი ძალისხმევის გარეშე მოახერხებთ, მთელმა სამყარომ თქვენს ირგვლივ იტრიალოს, ოღონდ საკითხავია, ნამდვილად გსურთ თუ არა ეს.

# ყურძენი გულს იცავს



ყურძნის მიღება ხელს უწყობს არტერიული წნევის შემცირებასა და აუმჯობესებს გულის მუშაობას, იცავს მას მარილის ჭარბი მოხმარებით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედებისგან, — ასეთ დასკვნებს ამერიკელი სწავლულები აკეთებენ მიჩიგანის უნივერსიტეტიდან. მეცნიერებმა ექსპერიმენტები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს — ის მღრღნელები გამოიყენეს, რომელთაც მარილზე მომატებული მგრძნობელობა ჰქონდათ. გარკვეული პერიოდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მღრღნელებს წნევა შეუმცირდათ და გულის მუშაობაც გაუუმჯობესდათ. ყურძენი ანთების საწინააღმდეგო ეფექტსაც იძლეოდა და მიოკარდის დაზიანებებს ამცირებდა, რაც მარილის ნეგატიური გავლენით იყო გამოწვეული. სპეციალისტების თქმით, ყურძნის დამცავი ეფექტი მის შემადგენლობაში არსებულ ფლავონოიდებს უკავშირდება. მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ ექსპერიმენტის შედეგები არ შეიძლება ადამიანზე პირდაპირ გადავიტანოთ, რადგან მარილის მიმართ ადამიანის მგრძნობელობა განსხვავებულია: ზოგში ეს პროდუქტი წნევის მატებას იწვევს, ზოგში კი არა.

# კოსმეტიკა კიბოს იწვევს

კოსმეტიკის ყოველგვარი საშუალება, ბრენდის პოპულარობისა და ფასის მიუხედავად, მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, — ამ დასკვნამდე ამერიკელი და ბრიტანელი სწავლულები მივიდნენ, რომელთაც ქალის ორგანიზმზე კოსმეტიკური საშუალებების გავლენა შეისწავლეს. კვლევებმა დაადასტურა, რომ კანისა და ლორწოვანი გარსის გავლით, ქალის სხეულში მოხვედრილი ქიმიური ნივთიერებები ორგანიზმში ილექება, ამიტომ კოსმეტიკის რეგულარული მოხმარება მავნე ნივთიერებებით მოწამვლის რისკს ზრდის. აღსანიშნავია, რომ საფრთხე ემუქრება არა მხოლოდ სუსტი სქესის წარმომადგენლებს, არამედ მამაკაცებსაც — ვინც სისტემატურად მოიხმარს შაპუნს, გელსა თუ თავის მოვლის სხვა საშუალებებს. ყველაზე ხშირად კოსმეტიკის მომხმარებლებს დერმატოლოგიური დაავადებები უვითარდებათ. ულიზიანდებათ ლორწოვანი გარსი, ყველაზე საშიში კი ავთვისებიანი სიმსივნეა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მავნეა დეზოდორანტები, რომლებიც კანცეროგენებს შეიცავს.



# ჭინდათ გახდეთ? იყიდეთ წითელი ჭურჭელი

ის ადამიანები, ვინც საჭმელს წითელი ფერის თეფშიდან მიირთმევს და სასმელს წითელი ფინჯნიდან სვამს, საკვების მოხმარებას 40%-ით ამცირებენ, — ასეთ უჩვეულო დასკვნამდე შვეიცარელი და გერმანელი სწავლულები მივიდნენ. მათი მოსაზრებით, წითელი ფერი საშიშროებასთან ასოცირდება და ამის გამო გურმანებს ქვეცნობიერად ზედმეტად დანაყრებაზე უარის თქმისკენ უბიძგებს. მკვლევარები კვების პროდუქტის მწარმოებლებს სთავაზობენ, რომ წითელი შეფუთვა გამოიყენონ არაჯანსაღი საკვებისთვის, ანდა პაბებში გასაფორმებლად მიმართონ ამ ფერს, კლიენტებმა ნაკლები რომ დალიონ, თუმცა ადვილი მისახვედრია, რომ ამ შეთავაზებაზე არავინ დათანხმდება.



ექსპერიმენტში 41 სტუდენტი მამაკაცი მონაწილეობდა, რომლებიც წითელი და ლურჯი ფერის ჭიქებიდან სვამდნენ. ვისაც წითელი ფერის ჭურჭელი შეხვდა, 44%-ით ნაკლები დალია; გარდა ამისა, 109 მოხალისეს ყოველდღიურად ლურჯი, თეთრი, წითელი ფერის თეფშებით ფუნთუშებს აძლევდნენ და ვისაც საკვები წითელ თეფშზე ხვდებოდა, გაცილებით ნაკლებს მიირთმევდა.

# ყველაზე სასარგებლო ტკბილეული





სწავლულებმა ადამიანისთვის ყველაზე სასარგებლო ტკბილეული დაასახელეს. მათი თქმით, დღის განმავლობაში, 16-დან 18 საათამდე, სისხლში მნიშვნელოვნად იკლებს შაქრის დონე, რაც შრომისუნარიანობაზე მოქმედებს. მეცნიერები გვირჩევენ, ამ პერიოდში თავს დესერტით სიამოვნების უფლება მივცეთ, თუმცა მნიშვნელოვანია, რა ტკბილეულს აირჩევთ. ის არა მხოლოდ „უბრალო“ ნახშირწყლები უნდა იყოს, არამედ სასარგებლო ინგრედიენტებსაც შეიცავდეს. არგენტინელი დიეტოლოგები ამტკიცებენ, რომ სწორედ ასეთი დესერტია ზეფირი და 100 გრამი 300 კილოკალორიას შეიცავს, ასევე ცილასა და ნახშირწყლებს. სწავლულების თქმით, ჟელატინიანი ზეფირი განსაკუთრებით სასარგებლოა ძვლის მოტეხილობისას, რადგან მას აღმდგენი ეფექტი აქვს.



# ჰოროსკოპი
## 19 დეკემბერი

**ვერძი** — კარგი დღეა მოგზაურობისთვის, საქმიანი შეხვედრა გეგმის მიხედვით ჩაივლის. კარგი პერიოდია მრავალმხრივი ურთიერთობისთვის, მეტი დრო დაუთმეთ საყვარელ ადამიანს.

**კურო** — საკმაოდ რთული დღე გაქვთ. ჩადენილი გაუაზრებელი საქციელი უსიამოვნებას გიქადით, ამიტომ მოგიწევთ, დრო საკუთარი შეცდომების გამოსწორებას დაუთმოთ.

**ტყუპები** — საქმეში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევთ და პროფესიულ პოზიციებს გაიმყარებთ, თუკი ხელმძღვანელობასთან კამათს თავს დაანებებთ.

**კირჩხიბი** — კარგი დღეა როგორც გონებრივი, ასევე ფიზიკური სამუშაოსთვის. არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან ერთად რომანტიკული საღამო გაატაროთ.

**ლომი** — დღე მაღალი აქტიურობით გამოირჩევა, თუმცა დიდია კონფლიქტის ალბათობაც, ამიტომ მე იქნებით ზედმეტად კრიტიკული და ყველა წვრილმანზე ნუ გაღიზიანდებით.

**ქალწული** — ფრთხილად იყავით — წარმატება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაქვთ გარანტირებული, თუკი შეძლებთ, სწორად შეარჩიოთ მომენტი და გარშემომყოფები დაარწმუნოთ თქვენს სიმართლეში.

**სასწორი** — დიდ გაუგებრობაში აღმოჩნდებით, თუ „ყველაფერი ჩემი საქმეა“-ს პრინციპით იმოქმედებთ. მიყევით ცხოვრების დინებას და ეცადეთ, გარშემომყოფები ზედმეტი აქტიურობით არ გააღიზიანოთ.

**ღრიანკალი** — დიდი მოთმინება გმართებთ — მხოლოდ ასე შეძლებთ მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან აცილებას. დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ, საღამო კი მეგობრების წრეში გაატარეთ.

**მშვილდოსანი** — განსაკუთრებით ყურადღებიანი უნდა იყოთ, რადგან შესაძლოა ელემენტარული შეცდომა დაუშვათ, რაც ფინანსურ დანაკარგს მოგიტანთ.

**თხის რქა** — არ არის გამორიცხული, მათ გიღალატონ, ვისი იმედიც გქონდათ და ვერც სასურველ შეთანხმებას მიაღწიოთ საქმიან პარტნიორებთან. ნუ აყვებით ემოციებს და ვითარება ობიექტურად შეაფასეთ.

**მერწყული** — ნაკლებად კრიტიკული იყავით იმ ადამიანების მიმართ ვინც გიყვართ. გაითვალისწინეთ, რომ უნაკლო არც თქვენ ხართ და კომპრომისზე წასვლაც საჭიროა.

**თევზები** — წარმატება გელით საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში. არ არის გამორიცხული შეხვედრა ან მოულოდნელი შეთავაზება ძველი ბიზნესპარტნიორისგან. აკონტროლეთ ემოციები, რათა მოსალოდნელ კამათს თავი აარიდოთ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 8 | 3 | | 2 | |
| 9 | | | | | | | | |
| | | 2 | 4 | | 9 | | | 5 |
| | 5 | | 2 | | | 7 | 6 | |
| 4 | | | | | | | | 8 |
| | 1 | 6 | | | 4 | | 9 | |
| 6 | | | 5 | | 7 | 1 | | |
| | | | | | | | | 6 |
| | 7 | | 3 | 9 | | | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 2 | 9 | | 6 | 7 |
| | 8 | | | 7 | | 5 | | 4 |
| | | | | | | 3 | | 8 |
| 8 | 4 | | | | | | | |
| | | | 2 | 9 | 4 | | | |
| | | | | | | | 4 | 2 |
| 3 | | 9 | | | | | | |
| 1 | | 4 | | 6 | | | 7 | |
| 2 | 7 | | 4 | 3 | | | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | | 8 | | 6 |
| | | | | | | | 3 | 2 |
| 4 | | | 6 | 3 | | | | |
| | 8 | | | 2 | | | 5 | 1 |
| | | 5 | | | | 2 | | |
| 9 | 6 | | | 1 | | | 4 | |
| | | | | 6 | 4 | | | 9 |
| 7 | 4 | | | | | | | |
| 6 | | 8 | | | 1 | | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 5 | 4 |
| | 4 | | | 7 | | 1 | | |
| | | | 6 | 5 | 4 | | | 9 |
| 8 | | 5 | | | | 2 | | 7 |
| | | | | 6 | | | | |
| 9 | | 4 | | | | 8 | | 5 |
| 7 | | | 5 | 4 | 8 | | | |
| | | 9 | | 1 | | | 7 | |
| 4 | 1 | | | | | | | |

# დროებით ცოლებს ქირაობენ



ეგვიპტეში ულარიბესმა ოჯახებმა ფულის შოვნის ახალ მეთოდს მიაგნეს — მათ აქტიურად დაიწყეს ოჯახის წევრი გოგონების გამოყენება, რომლებიც ტურისტებისთვის მომსახურების ახალ სერვისად აქციეს. ახლა ეგვიპტეში ჩასულ მდიდარ უცხოელს, თარჯიმნისა და გიდის გარდა, შეუძლია დროებით ცოლიც იქირაოს. მსგავსი ქორწინება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეა გავრცელებული, ღარიბმა ოჯახებმა კი ეს ტრადიცია ფულის შოვნის ეფექტურ წყაროდ აქციეს. დროებით ცოლების დასაქირავებლად ეგვიპტეში მსურველები, ძირითადად, არაბული სამყაროდან — საუდის არაბეთიდან, საამიროებიდან, ბაჰრეინიდან, იორდანიიდან, ქუვეითიდან, ლიბიიდან და იემენიდან ჩადიან, ეს სერვისი კი 320-დან 6 500 ევრომდე ღირს — ფასი გოგონას გარეგნობით, მისი სინორჩით, კანის ხავერდოვნებითა და უბიწოებით განისაზღვრება. ოჯახსა და „ქირავნობის მსურველს“ შორის ისეთივე კონტრაქტი ფორმდება, როგორც ტრადიციული ქორწინებისას და რელიგიურ მოთხოვნებსაც არ ეწინააღმდეგება, სამაგიეროდ, იურიდიული ძალა არ გააჩნია და მაშინვე ბათილდება, როგორც კი ტურისტი ეგვიპტეს ტოვებს. გოგონების მოძიების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შუამავლები — ისინი ძირითადად, ტაქსის მძღოლები და სოფლის ადვოკატები არიან, რომლებიც ღარიბ რეგიონებში კარდაკარ დაიარებიან და შესაფერის გოგონებს ეძებენ.



# ყურიდან ბაბუაწვერა ამოაჭრეს

უჩვეულო შემთხვევა დაფიქსირდა ჩინეთის დედაქალაქის ბავშვთა კლინიკაში — რამდენიმე დღის წინ აქ ექიმებმა 16 თვის გოგონას ყურიდან ბაბუაწვერას ამონაზარდი ამოაჭრეს, რომელიც პრაქტიკულად, უკვე აყვავებული იყო, ყურის ნიჟარიდან ამოღებული მცენარის სიგრძე კი 2 სანტიმეტრს შეადგენდა — აღმოჩნდა, რომ ბაბუაწვერა ყურში თითქმის ოთხი თვე იზრდებოდა. გოგონას დედამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გარკვეული პერიოდის წინ ბავშვს ყური აქავდა, თუმცა თავიდან, დიდად არ წუხდებოდა, ცოტა ხნის წინ კი, პატარა ატირდა და დედამაც ექიმთან მიიყვანა. მედიკოსები ამბობენ, გოგონა დროულად რომ არ მოეყვანათ, მცენარის ფესვები ტვინშიც შეაღწევდა და ბავშვის ჯანმრთელობას სერიოზულ ზიანს მიაყენებდაო.

# ყველაზე პროდუქტიული დღე ორშაბათია

საყოველთაო მოსაზრების მიუხედავად, ექსპერტები აცხადებენ, რომ კვირის ყველაზე პროდუქტიულ დღედ ორშაბათი უნდა მივიჩნიოთ. მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ კვირის სწორედ ამ დღესაა ადამიანი მაქსიმალურად შრომისუნარიანი. საინტერესოა, რომ კვლევის ჩატარების იდეა „მაიკროსოფტს“ ეკუთვნის, შედეგად კი გაირკვა, რომ ორშაბათობით ადამიანი უფრო მობილიზებულია, უქმეების შემდეგ, ორგანიზმიც განსაკუთრებით ძლიერია და მზადაა ნებისმიერი სამუშაოს შესასრულებლად, თუმცა კონცენტრაციის მაღალ დონეს დიდხანს ვერ ინარჩუნებს. ასე რომ, ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი საქმეების განხორციელება ადამიანმა, სჯობს, ორშაბათს დაიწყოს.



# მატე ორგანიზმს ახალგაზრდობას უნარჩუნებს

პოპულარული მატონიზირებელი სასმელი მატე, რომელიც პარაგვაული ჩაის სახელწოდებითაა ცნობილი, ორგანიზმის დაბერებას აფერხებს, — აცხადებენ არგენტინელი სწავლულები. მცენარე იერბა მატეს ფოთლებისგან მომზადებული ნაყენი პოლიფენოლების დიდ რაოდენობას შეიცავს, რომელიც ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივ დაცვას უფრო მტკიცეს ხდის, ხელს უშლის უჯრედების დაზიანებას და ამგვარად სხვადასხვა დაავადების განვითარებასა და დაბერების პროცესსაც ეწინააღმდეგება. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მატეს ნაყენში ანტიოქსიდანტების შემცველობა 500-600 მილიგრამს აღწევს, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე იგივე მოცულობის შავ ან მწვანე ჩაიში. მატეს მოხმარება დასვენებისას, სახლსა თუ სამსახურში აგრენტინული კულტურის განუყოფელი ნაწილია.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 5 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 9 | 6 |
| 9 | 6 | 2 | 5 | 8 | 4 | 3 | 7 | 1 |
| 1 | 4 | 7 | 6 | 9 | 3 | 2 | 5 | 8 |
| 2 | 1 | 4 | 8 | 7 | 6 | 9 | 3 | 5 |
| 8 | 9 | 3 | 4 | 5 | 2 | 1 | 6 | 7 |
| 5 | 7 | 6 | 3 | 1 | 9 | 8 | 2 | 4 |
| 4 | 3 | 5 | 2 | 6 | 8 | 7 | 1 | 9 |
| 7 | 2 | 1 | 9 | 4 | 5 | 6 | 8 | 3 |
| 6 | 8 | 9 | 1 | 3 | 7 | 5 | 4 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 5 | 6 | 4 | 3 |
| 6 | 5 | 4 | 1 | 3 | 8 | 2 | 7 | 9 |
| 3 | 9 | 7 | 2 | 6 | 4 | 8 | 1 | 5 |
| 8 | 3 | 2 | 6 | 4 | 7 | 5 | 9 | 1 |
| 5 | 7 | 1 | 3 | 2 | 9 | 4 | 8 | 6 |
| 4 | 6 | 9 | 8 | 5 | 1 | 7 | 3 | 2 |
| 7 | 4 | 6 | 5 | 1 | 3 | 9 | 2 | 8 |
| 9 | 2 | 3 | 7 | 8 | 6 | 1 | 5 | 4 |
| 1 | 8 | 5 | 4 | 9 | 2 | 3 | 6 | 7 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 2 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 |
| 6 | 7 | 9 | 5 | 4 | 3 | 8 | 2 | 1 |
| 8 | 5 | 4 | 6 | 2 | 1 | 9 | 7 | 3 |
| 9 | 6 | 8 | 1 | 7 | 4 | 5 | 3 | 2 |
| 7 | 2 | 5 | 3 | 6 | 9 | 1 | 4 | 8 |
| 4 | 1 | 3 | 2 | 5 | 8 | 7 | 9 | 6 |
| 5 | 4 | 7 | 8 | 3 | 6 | 2 | 1 | 9 |
| 3 | 9 | 6 | 7 | 1 | 2 | 4 | 8 | 5 |
| 2 | 8 | 1 | 4 | 9 | 5 | 3 | 6 | 7 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 1 | 6 | 3 | 9 | 8 | 5 | 4 |
| 3 | 9 | 8 | 7 | 5 | 4 | 2 | 6 | 1 |
| 6 | 5 | 4 | 2 | 1 | 8 | 3 | 9 | 7 |
| 1 | 6 | 7 | 9 | 8 | 5 | 4 | 2 | 3 |
| 5 | 4 | 9 | 3 | 7 | 2 | 1 | 8 | 6 |
| 8 | 3 | 2 | 4 | 6 | 1 | 9 | 7 | 5 |
| 4 | 8 | 6 | 1 | 2 | 7 | 5 | 3 | 9 |
| 9 | 2 | 3 | 5 | 4 | 6 | 7 | 1 | 8 |
| 7 | 1 | 5 | 8 | 9 | 3 | 6 | 4 | 2 |

მე-9 გვერდი: 1. აუტსაიდერი; . 2. ჯაგარი; 3. აორტა; 4. ტესტი; 5. აგორა; 6. ჯაკარტა; 7. გერინგი; 8. რიგა; 9. პრესტო; 10. კულექსი; 11. რახი; 12. კურაგა; 13. აუზი; 14. სუომი; 15. რეა; 16. შაკირა; 17. მოლოხი; 18. ონომასტიკა; 19. იაუნდე; 20. რონა; 21. გურუ; 22. გენია; 23. გრეიპფრუტი; 24. ბრა; 25. იზეო; 26. ნემსი; 27. რატუშა; 28. მაი; 29. ბაქო; 30. ინალიფა; 31. გამა; 32. აილამა; 33. არვე; 34. ანრი; 35. იაგო; 36. დიკლო; 37. გლადიატორი; 38. მაია; 39. იარდი; 40. სტენდალი; 41. ტყუპები; 42. ეტაპი; 43. ოვულაცია; 44. დია; 45. ალვა; 46. ემა; 48. უფლისციხე; 49. კოხი; 50. ციკლოპი; 51. სია; 52. დირიჟორი; 53. ფსტა; 54. პეტრე; 55. გუდუნა; 56. შოუ; 57. ხარაბუზა; 58. ესებუა; 59. ვილა; 60. ტოფუ; 61. პიტი; 62. ტაუერი; 63. ნიამორი; 64. ერე; 65. ოსტერია; 66. ლა; 67. ასტრა; 68. ალა 69. აბი; 70. მაქს; 71. აცე; 72. რუ; 73. როკი; 74. ოდა; 75. უბე; 76. უბანი; 77. ექო; 78. ვაიო; 79. ჟიუვი; 80. უზი; 81. ნარა; 82. ქვა; 83. ევა; 84. აარე; 85. კოლოიდი; 86. დიურერი.

მე-12 გვერდი: 1. პანსიონი; 2. ანდაზა; 3. სოლოსი; 4. ორსე; 5. კაბინეტი; 6. აკლდამა; 7. იაკობი; 8. ეტნა; 9. ოდალისკი; 10. უკულელე; 11. ირბისი; 12. პიკი; 13. ალიკანტე; 14. მარულა; 15. აკაი; 16. ოპაკი; 17. მერიმე; 18. მეტრიკა; 19. ორატორია; 20. ფეხი; 21. უზუსი; 22. ბამბა; 23. მაიკოპი; 24. კულბიტი; 25. ბიკილა; 26. ტუპაია; 27. კულისიე; 28. ფხა; 29. ავრალი; 30. რაი; 31. არა; 32. უმა; 33. ფაგოტი; 34. რვა; 35. უმიაკი; 36. გოლკიპერი; 37. მუსიე; 38. გარიყული; 39. მიმიკა; 40. ოლარი; 41. ნო; 42. პიტ; 43. გეკო; 44. ლაიოსი; 45. რისვი; 46. ლოტოსი; 47. ამაო; 48. ლეი; 49. ლევ; 50. ნიყვი; 51. ვირი; 52. კაი; 53. ლორდი; 54. ოსი; 55. „კოროლა“; 56. ვია; 57. „სტიაუა“; 58. ოტელო; 59. ძუა; 60. სი; 61. ცეეკვა; 62. სურო; 63. მე; 64. რადა; 65. სკარამუში; 66. სელაპი.



1. მრავალხმიანი მუს. ნაწარმოების სანოტო ჩანაწერი
2. ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი პერანგი
3. კამათი, პაექრობა
4. ატავიზმი, გადმონაშთი
5. მკვახე ყურძენი
6. თევზის დელიკატესი
7. ჩრდილოკავკასიური ცეკვა
8. რაიონული ცენტრი დასავლეთ საქართველოში
9. მდინარე ურალის ძველი სახელწოდება
10. რაგბის ბურთის ფორმა
11. ფრანგი კომპოზიტორი, „ბოლეროს“ ავტორი
12. მინდვრის პატარა მღრღნელი ცხოველი
13. ნაკურთხი წყალი
14. ქალაქი ესპანეთში
15. ლოცვის დასკვნითი სიტყვა
16. ქალაქი რუსეთში
17. ოთახის დეკორატიული მცენარე
18. გირჩებიანი ბალახოვანი მცენარე
19. ყურძნის ტკბილი წვენი
20. სხეულის გარკვეული მდებარეობა
21. ტიბეტური ხარი
22. ერთ-ერთი სახარების დამწერი
23. ქიმიური ელემენტი, რბილი ლითონი
24. დიდი ციმბირული ირემი
25. ქართული ავიაკომპანია
26. შრეკის სატრფო
27. გერმანელი მწერალი, „ამოკის“ ავტორი
28. მქუხარე აპლოდისმენტები
29. ცეცინათელების მწყემსი გოგონა
30. ღვინის დამსხმელი, მერიქიფე
31. შეტევა მოწინააღმდეგეზე
32. წელიწადის დრო
33. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
34. ერთ-ერთი მუშკეტერი
35. კეთილსურნელება
36. ინგლისელი მწერალი ივლინ ...
37. ღვინის „მოფერებითი“ სახელი
38. ბატკანი ერთ წლამდე
39. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი
40. დ. კლდიაშვილის „სოლომან ...“
41. ღმერთთა დედა ძვ. ინდურ მითოლოგიაში
42. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
43. მწყობრი ნაბიჯით სვლა
44. შეუხორცებელი ღრმა ჭრილობა
45. რადიოტალღების დამჭერი მოწყობილობა
46. ხორბლის მარცვლის ბუდე
47. მშვილდით სასროლი ჯოხი
48. მუსიკალური ნაწარმოების ფორმა
49. ჩებურაშკას მეგობარი ნიანგი
50. ნახევრად ძვირფასი ქვა
51. დავით აღმაშენებლის ასული
52. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
53. ბერძნული ანბანის მეორე ასო
54. ინგლისელი ეკონომისტი
55. ტყეების მფარველი ღმერთი რომაულ მითოლოგიაში
56. ზვიადაურის სოფელი
57. სოფ. ბაღდათის რაიონში
58. ბადმინტ. ბურთი
59. გულშემატკივართა შეძახილი კორიდაზე
60. აფრიკის უდიდესი მდინარე
61. ეგვიპტური კატის ჯიში
62. ბედი, ბედისწერა
63. სამეფო კოლეჯი ლონდონში
64. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
65. მონღოლთა მეხუთე დიდი ყაენი
66. უკი-როდნა-გები ქვის კედელი
67. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
68. სატელეფონო „სიტყვა“
69. წითელი მწარე წიწაკა
70. უნგრული სამზარეულოს ტრადიციული სალათა
71. ხოხბის ბარტყი
72. დათა თუთაშხიას და
73. საკონდიტრო ფხვნილი
74. ბოთლში მცხოვრები ზღაპრული არსება
75. ისტორიის მუზა
76. იტალიის ნაკრების ანუ „სკუადრა ...“
77. სამი წერტილი კამათელზე
78. გემის ბოლო ნაწილი
79. აკადემიკოსი ... კეკელიძე
80. „საინფორ-მაციო ღრუ“
81. საჭმელების ჩამონათვალი
82. დილით უჭმელი
83. ნაპოლეონის მარშალი
84. ... სელინჯერი
85. ყაჩაღი ძმების გვარი შილერის დრამაში
86. გამადიდებელი მუშა
87. დროის მონაკვეთი ჰოკეის მატჩში


ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ღლონტი
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული
მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა
და ინფორმაციის სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის
შემთხვევაში დაგვიკავშირდით
14 დღის განმავლობაში.